



აღკვეთა
საგანმართლო მხედრი



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ივლისი №3

სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები

თბილისი 2015



სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მესამე ნომერი
ქ. თბილისი, ივლისი, 2015 წ.
ISSN 1512-4525

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“
ერთობლივი გამოცემა

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

აკრძალულია ჟურნალში წარმოდგენილი მასალის
გამოყენება წყაროს მითითების გარეშე

აღნიშნული წესი არ ვრცელდება კონკრეტული
სტატიის ავტორზე

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორი:

მარიკა არევაძე

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული
ლექტორი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ა(ა)იპ „ახალგაზრდა
ადვოკატების“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ დამფუძნებელი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა J & T Consulting-
ის მმართველი პარტნიორი - **გიორგი ცერცვაძე**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საგანმანათლებლო
საბჭოს ხელმძღვანელი, იურიდიული კომპანია K&K Consulting-ს მმართველი პარტნიორი
- **ირაკლი ყანდაშვილი**

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - **მალხაზ ბაგიაშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული
ლექტორი და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი - **თამარ ბიწაძე**

მედია-სამართლის სპეციალისტი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით,
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - **არჩილ კაიკაციშვილი**

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი - **ანა კიკნაძე**

გამოცემის დიზაინი:

რობი გეთიაშვილი

სტამბა:

დანი

სარჩევი

წინათქმა	4
თამარ მსხვილიძე ინტელექტუალურ თავსატეხად წოდებული უკუმიმართება (renvoi) საერთაშორისო კერძო სამართალში	5
ბექა წიკლაური ევთანაზიის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები	12
დავით ანანიძე წმინდა გიორგი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკასა და რელიგიაში	23
ნათია სვანიძე ბავშვთა შრომის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები	34
მარიამ ქარსელაძე თეონა მგელაძე ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის გადასვლა ნასყიდობის საგნის გაგზავნის დროს ...	42

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიის შინაარსსა და
მასში გამოყენებული მასალის მიმართ არსებული საავტორო უფლებების დაცვაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

წინათქმა

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გამოცემა დაიწყო 2014 წელს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცა 2014 წლის მარტის თვეში. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და სამართლის დარგში აღიარებულ მეცნიერებს, საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატებს, დამწყებ თუ მოქმედ იურისტებს/ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე მოამზადონ და გამოაქვეყნონ სტატიები. ჟურნალი არის რეგულირებადი გამოცემა და მას მინიჭებული აქვს პერიოდული გამოცემის ნომერი - ISSN 1512-4525.

2015 წლის ივლისიდან, ჟურნალის გამოცემა განხორციელდება ერთობლივად ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ.

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წელს და დაფუძნებიდან აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას ახორციელებს. ორგანიზაცია ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის.

შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ დაფუძნდა 2015 წლის მაისში. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს - საგანმანათლებლო საქმიანობა; ლექციების, სემინარების და ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება; კონფერენციების ან/და მრგვალი მაგიდების ორგანიზება და ჩატარება; კვლევების მომზადება/გამოცემა; სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან/და საინფორმაციო ჟურნალების, ბროშურების ან/და ბუკლეტების გამოცემა. ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი ორიენტირებულია იურიდიული პროფესიის განვითარებაზე და ხელს უწყობს ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებას. ცენტრი, სალექციო კურსების გარდა დაინტერესებულ პირებს პერიოდულად შესთავაზებს თემატურ მრგვალ მაგიდებს, უზრუნველყოფს ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციების განხორციელებას, სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ასევე უზრუნველყოფს პერიოდული სამეცნიერო დოკუმენტების გამოცემას.

ინტელექტუალურ თავსატეხად წოდებული უკუმითიება (renvoi)
საერთაშორისო კერძო სამართალში

„renvoi არის საკითხი, რომელიც უყვარს მეცნიერებს,
სძულს სტუდენტებს და იგნორირებულია (როდესაც ამჩნევენ)
პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის მოსამართლეების მიერ.“¹

თამარ მსხვილიძე
სამართლის მაგისტრი

1. უკუმითიება: პრაქტიკული სირთულეები, დოქტრინალური შეხედულებები

1.1. უკუმითიების ცნება

დღევანდელ მსოფლიოში საგრძნობლად მოიმატა სასამართლოთა მიერ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების განხილვის რიცხვმა. ეს უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სამოქალაქო პროცესების ინტერნაციონალიზაციით, რომელიც თავის მხრივ არის ტრანსნაციონალური ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის, ასევე ახალი შესაძლებლობებისა და შორეული დისტანციების გადალახვის შედეგი.

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს რომელი ქვეყნის სამართლით მოწესრიგდეს უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. ანუ, კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად უთითებს რომელიმე ქვეყნის სამართალს, რომლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმა შესაძლებელია უკან დაუბრუნოს მითითება თავდაპირველ ქვეყანას ან მიანიშნოს მესამე ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე. როდესაც კოლიზიური ნორმა მიანიშნებს უცხოური სამართლის გამოყენებას, ხოლო იგი უკანვე მიუთითებს თავდაპირველ სამართალს, ამას დოქტრინა უწოდებს პირველი რანგის ანუ ერთჯერად renvoi-ს (რემისია), ხოლო როცა საკოლიზიო კანონი მითითებას აკეთებს მესამე ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე ესაა შემდგომი მითითება – მეორე რანგის ანუ კომპლექსური renvoi (ტრანსმისია).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ქართული კანონის მე_4 მუხლის მიხედვით, სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება ან თუ ეს მითითება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას“. ამ მუხლის მიხედვით, ქართული კანონმდებლობა აღიარებს უკუ და შემდგომი მითითებების გამოყენებას.

¹ renvoi is a subject loved by academics, hated by students and ignored (when noticed) by practising lawyers (including judges) Conflict of Laws: Commentary and Materials, Sam Ricketson and Geoffrey Lindell. 1997, p. 379.

1.2. მთავარი კითხვა renvoi-საგან

როგორც უკვე აღინიშნა, კოლიზიურ სამართლებრივი ნორმები ირჩევენ კონკრეტულ სამართალს (ხშირ შემთხვევაში უცხოურს) რათა მოაწესრიგონ სასამართლოს წინაშე არსებული სადავო საკითხები. რა უნდა გააკეთოს სასამართლომ თუკი აღმოაჩენს, რომ თავისივე კოლიზიური ნორმით არჩეული უცხოური სამართალი უკან გადმოამდისამართებს მითითებას მისკენ ? ესაა renvoi-ს კითხვა, რომელსაც შეიძლება განსახვავებულად ვუპასუხოთ.

ერთის მხრივ, სასამართლოს შეუძლია უკუმითითების პრობლემის იგნორირება, კოლიზიური ნორმების არჩევანის უგულვებელყოფით და მხოლოდ უცხოური მატერიალური სამართლის გამოყენება. რაც ცნობილია, როგორც renvoi-ს უარყოფა.² ეს მარტივი გზა, გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე გამოიყენებს უცხოურ მატერიალურ კანონს მაშინ, როდესაც თავად უცხოური იურისდიქციის სასამართლო არ იყენებს მას, რადგან მისი კოლიზიური ნორმა სხვა ქვეყნის სამართალს მიუთითებს.

მეორეს მხრივ, სასამართლოს შეუძლია თავისი კოლიზიური კანონის მიერ მითითებული სამართლისაგან უკუმითითების მიღება და ამის შემდეგ მისივე მატერიალური სამართლის გამოყენება. რაც ჩვეულებრივ ცნობილია, როგორც ერთჯერადი renvoi.

კოლიზიონისტები და პრაქტიკოსი იურისტები ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით უპირველეს საფრთხედ მიიჩნევენ იმას, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მითითებების უსასრულო ციკლს ან მუდმივ რეგრესიას, ანუ მოხდეს თითოეული იურიდიული სისტემის მიერ მეორისაკენ მინიშნება. სწორედ ამიტომ საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინამ განავითარა მოსაზრება, რომ თავდაპირველი ქვეყნის სამართალზე უკუმითითებისას, აღარ გამოიყენონ მოცემული ქვეყნის კოლიზიური სამართალი და მხოლოდ მატერიალური ნორმების მეშვეობით გადაიჭრას საკითხი. მარტივად რომ ვთქვათ, უკან მითითება ერთგვარად შემოიფარგლა მხოლოდ მატერიალური სამართლით და სავსებით გამორიცხა შემდგომი მითითებების არსებობა.

აბსოლუტურად მსგავს მიდგომას (მოწინავე ევროპული კოდიფიკაციების გავლენით) ითვალისწინებს ქართული საერთაშორისო კერძო სამართალიც³, კერძოდ საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მატერიალური ნორმები, რომლებიც არსებითად არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობას და უშუალოდ უკავშირდებიან კონკრეტულ საქმეს.

1.3. დებატები და არგუმენტები უკუმითითების შესახებ

უკუმითითების პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვამ საერთაშორისო კერძო სამართლის ევროპულ დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედი კანონმდებლობა უკუმითითების წინააღმდეგ გამოდიოდა. კოლიზიონისტთა შორის გავრცელებული შეხედულებით, მის შემოტანას ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ქვეყნის მხრიდან სასამართლოს

² Renvoi and presumptions about foreign law, Daves Martin, Melbourne University law review. April 2006.

³ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლი: „საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები.“

უზენაესობის უარყოფას უცხოური კანონმდებლობის სასარგებლოდ. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ უკუმითითება ადვილად შეიძლება შევიდეს მოქალაქეებულ წრეში ან/და მითითებების სერიაში. ანუ იარსებოს საფრთხემ, რომ ნებისმიერი კოლიზიურ-სამართლებრივი მითითება დაუსრულებლად გაგრძელდეს დროში და ვერ იქნეს მიღწეული საბოლოო გადაწყვეტა. შეიქმნას ისეთი ვითარება, რასაც კანონი სარკეთა თამაშს ან/და საერთაშორისო ჩოგბურთის პარტიას უწოდებს.⁴ თუმცა ამ არგუმენტის მოწინააღმდეგენი არ იზიარებდნენ მას და ამბობდნენ, რომ მითითებების შემდგომი სერია ვერ იქნება გრძელი, რადგან შესაძლო კავშირები ნაკლებია და ძირითადად ორ ან სამ ქვეყანას შორის ნაწილდება, რომელთაგან ერთი თავად სასამართლოს ადგილმდებარეობის ქვეყანაა.⁵

ამ ინსტიტუტის მხარდამჭერი მთავარი არგუმენტი კი ასე ჟღერს – იგი არის საშუალება, რათა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის წარმოიშვას ჰარმონია, ანუ აღსრულდეს იგივე კანონი, ვინც არ უნდა იყოს უფლებამოსილი მოსამართლე.

მიუხედავად იმისა, რომ უკუმითითება არაერთგვაროვნად იქნა მიღებული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ, საბოლოოდ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციებმა ცნო აღნიშნული პრინციპის გამოყენების საჭიროება.

2. უკუმითითების წარმოშობისა და განვითარების ისტორია

ა) იტალია

უკუმითითების პრობლემა პირველად წარმოშვა სასამართლო პრაქტიკამ. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში იტალიაში, მილანის სასამართლომ განიხილა ერთ-ერთი მოქალაქის ანდერძის ნამდვილობა.⁶ მილანური სამართალი ანდერძის ნამდვილობას უკავშირებდა მისი შედგენის ადგილის სამართალს. ანდერძი 1617წ. შედგენილი იყო ბრიუსელში, ადგილობრივი ფლამანდიური სამართლის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა ფლამანდიური კანონის „ჭეშმარიტების ედიქტის“ მე-13 მუხლის თანახმად, გარიგების ფორმათა ნამდვილობა განისაზღვრებოდა იმ სამართლის მიხედვით, სადაც გარიგების საგანი იმყოფებოდა. ანდერძი შეეხებოდა მილანში მდებარე უმრავ ქონებას. იმის გამო, რომ მილანური სამართლის შესაბამისად, აღნიშნული ანდერძი ფორმა დაუცველად იყო შედგენილი, სასამართლომ იგი ბათილად ცნო.

ბ) ინგლისი

კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებით, ინგლისელმა მოსამართლეებმა თავიდანვე გამოხატეს კეთილგანწყობა უკუმითითების ნორმის მიმართ და იგი მისაღებად მიიჩნიეს მთელი თავისი სპეციფიკით. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი საქმე *Collier v. Rivaz* რომელზეც ინგლისის კენტერბერგიის სასამართლომ 1841 წ. 3 აგვისტოს გამოიტანა

⁴ Il problema del rinvio nel diritto internazionale privato, Paolo Perrone, Inserito in Diritto&Diritti nel aprile 2002 Boschiero Appunti sulla riforma del sistema italiano di diritto internazionale privato. Torino, 1996, p. 180, Ballarino, Diritto internazionale privato, cit. p. 256.

⁵ რომელმაც საკითხისადმი თავისი კომპეტენცია რომ განაცხადოს, აუცილებლად უნდა წარმოადგინოს ფაქტთან რაიმე სახის კავშირი.

⁶ ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, ზვიად გაბისონია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2006 წ. გვ. 98-99.

განჩინება.⁷ საქმე ეხებოდა ანდერძში რამდენიმე დანამატის ნამდვილობას, რომელიც შედგენილი იყო ბელგიაში მცხოვრები ინგლისის ქვეშევრდომის მიერ და ფორმით პასუხობდა ინგლისური მატერიალური სამართლის და არა ბელგიური კანონის მოთხოვნებს. კენტერბერგიის სასამართლოს მოსამართლე სერ ჰერბერტ ჯენერმა აღნიშნა, რომ ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ინგლისელ მოსამართლეებს ისე უნდა გამოეტანათ გადაწყვეტილება, თითქოსდა ბელგიაში იმყოფებოდნენ. ინგლისური კოლიზიური სამართალი ანდერძის ფორმის ნამდვილობას უკავშირებდა მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას, ე.ი. ბელგიურ სამართალს. ხოლო ბელგიური კოლიზიური ნორმა აღნიშნულ ურთიერთობას უქვემდებარებდა მამკვიდრებლის „პირად კანონს“, ანუ ამ შემთხვევაში ინგლისურ სამართალს. რადგან სასამართლო პროცესზე ექსპერტთა ჩვენებიდან გაირკვა, რომ ბელგიელმა მოსამართლეებმა მითითება გააკეთეს ინგლისურ სამართალზე, ამ უკანასკნელმა აღიარა ბელგიური სამართლის უკუმითითება და ანდერძის დანამატი კანონიერად გამოცხადდა, ვინაიდან იგი ინგლისური სამართლის ფორმის დაცვით იყო შედგენილი. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლეებმა ინგლისური მატერიალური სამართლის გამოყენებით პრაქტიკულად გზა გაუხსნეს ნამდვილ უკუმითითებას. სასამართლომ გამოიყენა ტაქტიკა, რომლის თანახმადაც მათ უნდა მიეღოთ იმ სამართლის მიერ განხორციელებული უკუმითითება, რომლის გამოყენებასაც უთითებდა ინგლისის კოლიზიური კანონი. აღნიშნული საქმის შემდეგ მსგავსი უკუმითითებების აღიარება ტრადიციად იქცა ინგლისური სასამართლო პრაქტიკისათვის.

გ) გერმანია

უკუმითითების საკითხი გერმანიაში წამოიჭრა საქმეში *Krebs c. Rosolino*, რომელზეც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1861 წ. 21 მარტის განჩინებით ლიუბეკის, გერმანიის კონფედერაციის თავისუფალი ქალაქის უზენაესი სასამართლოს (Oberappellationsgericht) მიერ.⁸ აქ საქმე შეეხებოდა ფრანკფურტის მოქალაქის, მაგრამ გარდაცვალების დროს მაინცში მცხოვრები ქალბატონის მოძრავი ქონების მემკვიდრეობას. შვილები მოითხოვდნენ მაინცის კანონის გამოყენებას, რომელიც მათ კანონიერ უფლებას უზრუნველყოფდა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე ითხოვდა ფრანკფურტის სამართლის გამოყენებას, რაც შვილების უფლებას გამოიწვევდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამემკვიდრეო ქონება უნდა განაწილებულიყო, ისე როგორც ამას ქალის საცხოვრებელი ადგილის კანონი გააკეთებდა და რადგან მაინცის სამართალი ითხოვდა მოქალაქეობის კანონის აღსრულებას, მემკვიდრეობა გადანაწილდა ფრანკფურტის სამართლებრივი ნორმების მიხედვით.

დ) საფრანგეთი

⁷ Renvoi Doctrine in the Conflict of Laws-- Meaning of "The law of a Country" Lorenzen Ernest G, 1918. faculty Scholarship Series. 520 521, http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4564.

⁸ Il problema del rinvio nel diritto internazionale privato, Paolo Perrone., Inserito in Diritto&Diritti nel aprile 2002, <http://www.diritto.it/index.html>.

უკუმიტითების დაშვების თაობაზე მოსაზრებები საფრანგეთში წარმოიშვა ფორგოს ცნობილი საქმის ირგვლივ.⁹ ბავარიის მოქალაქე ფრანსუა-სავიერ ფორგო საფრანგეთში 5 წლის ასაკიდან ცხოვრობდა, 68 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ კანონიერი საცხოვრებლის უფლება არასოდეს მიუღია. მას ანდერძი არ დაუტოვებია, 1869 წ. კი საფრანგეთში გაიხსნა მისი სამკვიდრო და სოლიდურ მოძრავ ქონებაზე პრეტენზია განაცხადეს დედის მხრიდან ნათესავებმა, რადგან ბავარიული სამემკვიდრეო სამართალი სწორედ ამას ითვალისწინებდა. თუმცა ფრანგული სამართალი ასეთ ნათესავებს კანონით მემკვიდრეებად არ მიიჩნევდა. დასაწყისისთვის არანაირი კოლიზიური პრობლემა არ შექმნილა, რადგან როგორც ფრანგული, ისე ბავარიული იურისპრუდენცია მემკვიდრეობის საკითხს აწესრიგებდა მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალით. თუმცა 1878 წ. ძალაში შევიდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა კანონიერი საცხოვრებელი ადგილის ცნებას და ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან მის დამოწმებას. ამგვარი სახელმწიფო მოწმობა კი, როგორც აღინიშნა, მამკვიდრებელს არ გააჩნდა. შესაბამისად, მისი კანონიერი საცხოვრებელი ადგილი ისევ ბავარიაში რჩებოდა. ამდენად, ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართალი მიუთითებდა ბავარიული სამართლის გამოყენებას, რომელიც ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა კანონიერი და ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ცნებებს. ამიტომაც ის, თავის მხრივ, კვლავ ფრანგული ნორმის გამოყენებას უკუმიუთითებდა. ფრანგულმა საკასაციო სასამართლომ მიიღო ბავარიული კანონის კოლიზიური ნორმის მითითება და გამოიყენა ფრანგული მატერიალური სამართალი.¹⁰

ე) ავსტრალია

ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულმა ერთ-ერთმა ყველაზე რეზონანსულმა საქმემ *Neilson*¹¹ მსოფლიოს საერთაშორისო კერძო სამართლის იურისტებს შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ბარბარა ნეილსონი ბინაში ყოფნისას კიბეებიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. ეს მოხდა ვუჰანში, ჩინეთში. მისი მეუღლე, ჯორჯ ნეილსონი დასაქმებული იყო მოპასუხის Overseas Projects Corporation of Victoria Ltd (OPC)-ის მიერ, რათა მოემზადებინა კურსი ორგანიზაციულ ქცევაზე ვუჰანის რკინისა და ფოლადის უნივერსიტეტში. გაფორმებული შრომითი კონტრაქტის მიხედვით, OPC-ს უნდა უზრუნველყო საცხოვრებელი ჯორჯისა და მისი ოჯახისათვის. მოსარჩელები იყვნენ ავსტრალიის მოქალაქეები, მუდმივად მცხოვრებნი დასავლეთ ავსტრალიაში, შესაბამისად მათ დაბრუნებისას იქ აღძრეს სარჩელი OPC-ის წინააღმდეგ, ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და დელიქტის ფაქტზე.

⁹ The Renvoi in Private International Law, Berlinger R. Daniel, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 3, No.1, January 2013 p. 67 „იხ.“ ასევე Il problema del rinvio nel diritto internazionale privato. Paolo Perrone. Inserito in Diritto&Diritti nel aprile 2002.

¹⁰ იმდროინდელი ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ერთადერთი სუბიექტები, ვინც მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ექსკლუზიურად იყვნენ და-ძმები და არა სხვა რიგის ნათესავები. შესაბამისად, სამემკვიდრეო ქონება გადაეცა საფრანგეთის სახელმწიფოს, რომელსაც ქვეყნის ადმინისტრაცია წარმოადგენდა.

¹¹ Case Note: Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD. 2005.

Renvoi and presumptions about foreign law, Martin Daves, Melbourne University law review. April 2006 „იხ.“ Pleading and proving foreign law in Australia, James McComish, Melbourne University Law Review, 2007.

თავის მხრივ, OPC-მა აღძრა სარჩელი თავისი საჯარო პასუხისმგებლობის სადაზღვევო კომპანიის (MMI) და სადაზღვევო ბროკერის წინააღმდეგ, რომელმაც შეადგინა სადაზღვევო კონტრაქტი. პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა ბარბარა ნეილსონის სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტზე, რადგან მიიჩნია რომ OPC-ს არ გააჩნდა აშკარა ან ნაგულისხმევი სახელშეკრულებო ვალდებულება უზრუნველყო საცხოვრებელი მისთვის. შესაბამისად, განსახილველი დარჩა სარჩელი მხოლოდ დელიქტის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარბარა ნეილსონის დელიქტური სარჩელი წესრიგდებოდა დელიქტის ადგილის კანონით (*lex loci delicti*), ე.ი. ჩინური სამართლით. თუმცა მისმა ადვოკატმა არ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცება ჩინური სამართლის შესახებ, რაც მოწინააღმდეგის წარმომადგენელმა გააკეთა. იგი ცდილობდა დაცვა აეგო 1986 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებზე,¹² რომლის მიხედვით ჩინური სარჩელის ხანდაზმულობის ვადა დელიქტისათვის არის ერთი წელი, რაც გამოიწვევდა სარჩელის უარყოფას. 126-ე მუხლის მიხედვით კი, შენობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს, მაკონტროლებელს ან მენეჯერს. მოსამართლემ უარყო ჩინურ სამართალს დაფუძნებული ეს დაცვა და განაცხადა: „ჩინეთის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 146-ე მუხლი მამღევს მე უფლებას გამოვიყენო ავსტრალიური სამართალი, რადგან ორივე მხარე ავსტრალიის მოქალაქენი არიან.“ სასამართლოს მიერ გამოყენებული ამ მუხლის თარგმანში წერია: „უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის კომპენსაციისას, გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევას. თუ ორივე მხარე არის ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენელი ან მუდმივად მცხოვრებნი ერთსა და იმავე ქვეყანაში, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მათი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის სამართალი.“ გამოიყენა რა ავსტრალიური სამართალი, მოსამართლემ დაასკვნა, რომ OPC-მა დაარღვია სიფრთხილის დაცვის ვალდებულება ბარბარა ნეილსონის მიმართ და დაავალდებულა იგი მიეყენებულო ზიანისათვის 300.000 დოლარით. ასევე სასამართლომ OPC-ის დაზღვევაზე პასუხისმგებლობა დააკისრა MMI-ს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. გასაჩივრების ცენტრალურ საკითხად მოსამართლეებმა მიიჩნიეს იმის დადგენა, გამოიყენება თუ არა *renvoi*-ს საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინა საერთაშორისო დელიქტურ სარჩელებში. სასამართლომ დასძინა, რომ არ უნდა გამოიყენებოდეს *renvoi* ნორმა საერთაშორისო დელიქტურ სარჩელებში. შესაბამისად, დაასკვნა რომ თავდაპირველ მოსამართლეს უნდა ესარგებლა ჩინური სამართლით და სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულად მიეჩნია. ამის შემდგომ ნეილსონმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა ავსტრალიის უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ჩინური სამართლის მთლიანად გათვალისწინება, კოლიზიურ სამართლებრივი ნორმების ჩათვლით. საპირისპიროს გაკეთება გამოიწვევდა იმას, რომ ავსტრალიურ სასამართლოს შესაძლოა გამოეყენებინა ჩინური სამართალი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი იგივე საქმის განხილვისას თავად არ გამოიყენებდა საკუთარ სამართალს, რადგან ჩინური კოლიზიური სამართლის ნორმების არჩევანი მიმართავდა მას სხვა იურიდიული სისტემისაკენ.

¹² Min fa tong ze ; Article 136 of the General Principles of Civil Law of the People's Republic of China, see China Legislative Information Network System, General Principles of the Civil Law of the People's Republic of China http://www.chinalaw.gov.cn/jsp/jalor_en/disptext.jsp?recno=1&ttlrec=1.

3. დასკვნა

უკუმითითება საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ იგი ხშირად თეორიულ და არა პრაქტიკულ პრობლემად აღიქმება. ისეც ხდება, რომ პრაქტიკაში წარმოშობილი უკუმითითება, მისი რთული და სპეციფიკური ბუნების გამო იგნორირებულია. ძირითადი მიზეზი, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა როგორც წესი, აღიარებს მის გამოყენებას, ისაა რომ სხვა მითითებისაგან განსხვავებით, იგი მოსამართლეებს შესაძლებლობას აძლევს ნაცვლად უცხოურისა გამოიყენონ საკუთარი ქვეყნის სამართალი. და ბოლოს, საერთაშორისო კერძო სამართლის იურისტებს უნახავთ ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ნათქვამი renvoi-ს შესახებ: „ამ სასამართლოს არ გააჩნია აღნიშნული საკითხის იგნორირების ფუფუნება.“¹³

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 1998 წელი
2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპები, 1986 წელი
3. გაბისონია ზვიადი, კოლიზიური ნორმის უკუმითითება და შემდგომი მითითებები საერთაშორისო კერძო სამართალში, „ადამიანი და კონსტიტუცია.“ №1, 2004
4. ლილუაშვილი თენგიზ, საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი, 2001
5. გაბისონია ზვიადი, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2006
6. McComish J., Pleading and proving foreign law in Australia, Melbourne law review, 2007
7. Davis M., Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne law review, 2006
8. Perrone Paolo, Il problema del rinvio nel diritto internazionale privato, Inserito in diritto & diritti nel aprile, 2002, [http:// www.diritto.it/index.html](http://www.diritto.it/index.html)
9. Renvoi Doctrine in the Conflict of Laws, Meaning of The law of a Country, Lorenzen Ernest G, 1918 faculty Scholarship Series, 520 521, http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4564
10. The Renvoi in Private International Law, Berlinger R. Daniel, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 3, No.1, p. 67, january 2013
11. Sam Ricketson and Geoffrey Lindell, Conflict of Laws: Commentary and Materials, 1997

რეზიუმე

უკუმითითება საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. აღნიშნულ სტატიაში, გადმოცემულია სირთულეები რასაც ეს ე.წ. თავსატეხი წარმოშობს სასამართლო პრაქტიკაში. მიმოხილულია მისი წარმოშობის ისტორია, აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის გამორჩეული და საინტერესო საქმეები, საუბარია მის ირგვლივ წარმოშობილ განსხვავებულ დოქტრინალურ მსჯელობებსა და სპეციფიკურ ბუნებაზე.

¹³ Case Note: Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD. 2005 Martin Daves. „Renvoi and presumptions about foreign law.”Melbourne University law review. April 2006.

ევთანაზიის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები

„კარგი ხელისუფლების პირველი და ერთადერთი კანონიერი მიზანი
ადამიანის სიცოცხლისა და ბედნიერების დაცვაა და არა მათი განადგურება“
თომას ჯეფერსონი

„სიკვდილი ყველა პრობლემას აგვარებს. არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“
იოსებ სტალინი

„ჩვენი სიცოცხლე სახელმწიფოს ეკუთვნის“
ადოლფ ჰიტლერი

ბექა წიკლაური
სამართლის ბაკალავრი

1. ევთანაზიის ცნება

ევთანაზია (ბერძ.) ნიშნავს ტკბილ, უშფოთველ სიკვდილს და გულისხმობს ექიმის მიერ აქტიურ, გამიზნულ ჩარევას პაციენტის სიცოცხლის დასასრულებლად მისივე გამოხატული ნების საფუძველზე¹⁴. თანამედროვე ლიტერატურაში ევთანაზიის მრავალ განსხვავებულ დეფინიციას ვხვდებით, თუმცა მათი საერთო ნიშანია - ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტა მისივე ნების საფუძველზე. ხშირად გამოიყენებენ ტერმინს „mercy killing“ (სამადლო მკვლელობა ან მკვლელობა სიბრალულით)¹⁵. ევთანაზიის შესახებ არაპირდაპირ არის საუბარი ჰიპოკრატეს ფიცის ორიგინალში: „ჩემი ძალ-ღონისა და მიხედრილობის შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო განწყობა დავუდგინო ავადმყოფს და ავერიდო ყოველგვარი ვნების მიყენებას და უსამართლობას; არ მივცე არც ერთ მთხოვნელს მომაკვდინებელი საშუალება და არცა გზა ვასწავლო ასეთი ზრახვის შესრულებისა.“ აღსანიშნავია, რომ რომის სამართალში მოქმედებდა პრინციპი „Vote nti non fit injiria“, რომლის თანახმად, ადამიანის თანხმობა გამორიცხავდა ქმედების არამართლზომიერებას.

2. ევთანაზიის სამართლებრივი რეგულაცია საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი სიცოცხლეს აბსოლუტურ უფლებად აღიარებს და არ ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. სიცოცხლე უზენაეს სამართლებრივ ღირებულებას მიეკუთვნება და ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების „სასიცოცხლო“

¹⁴ Mandy Beyer, Euthanasie – aktive Sterbehilfe, 1. Auflage, 2001, GRIN Verlag, S. 3.

¹⁵ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული (სტატია: „სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით“, ევა გოცირიძე) რედ. კონსტანტინე კორკლია, თბილისი, 2007, გვ. 50.

წინაპირობას წარმოადგენს¹⁶. აღნიშნული არგუმენტი საკმარისია იმისთვის, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს სიცოცხლის უფლების მიმართ, როგორც უზენაესი უფლებისადმი. სიცოცხლის უფლებას აღიარებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“¹⁷, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“¹⁸, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“¹⁹ და არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს მსხვერპლის თხოვნით სიცოცხლის მოსპობის მართლზომიერებას.

სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია არამარტო აქტიურად და ქმედითად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, არამედ მიიღოს პრევენციული ზომები სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ადამიანს არ აქვს საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება და სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული მოთხოვნა ასახოს კანონმდებლობაში.²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Pretty v. United Kingdom* განმარტა, რომ სიცოცხლის უფლება არ უნდა განმარტებულიყო ისე, რომ მასში მოიაზრებოდეს სიცოცხლეზე უარის თქმის უფლებაც. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების შინაარსის ინტერპრეტაცია, როგორც ადამიანისათვის სიკვდილის უფლების მინიჭება დაუშვებელია.

ევთანაზიის ცნება მოცემულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში: „უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით“, ხოლო ამავე კანონის 151-ე მუხლი კრძალავს ევთანაზიის განხორციელებას: „სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება“. აღსანიშნავია, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ევთანაზიის დეფინიცია სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია. ევთანაზიის კრიმინალიზაციას სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი ახდენს, რომლის მიხედვით დანაშაულს წარმოადგენს: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის არსებობა:

- სახეზე უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტა. დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე, ხოლო სუბიექტი შესაძლებელია იყოს როგორც

¹⁶ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია (სტატია: „სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“, კონსტანტინე კუბლაშვილი), თბილისი, 2006, გვ. 188.

¹⁷მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს. საქართველოში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.

¹⁸მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს. საქართველოში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბერიდან.

¹⁹მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს. საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

²⁰ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია (სტატია: „სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“, კონსტანტინე კუბლაშვილი), თბილისი, 2006, გვ. 193.

- სპეციალური პირი, მაგალითად, ექიმი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი. ამასთან, ქმედება შესაძლებელია გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, აგრეთვე უმოქმედობაში;
- ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად. კანონმდებელი მსხვერპლის სიცოცხლის მოსასპობად საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ მის თხოვნას ან ნებას, აუცილებელია თხოვნა იყოს დაჟინებული, ხოლო ნება ნამდვილი. დაჟინებულ თხოვნაში იგულისხმება მსხვერპლის მიერ საკუთარი სიცოცხლის შეწყვეტის სურვილის გამოხატვა მრავალჯერ, კატეგორიულად, დარწმუნებით, ხოლო მსხვერპლის ნება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი თუ თავად მსხვერპლს აქვს უნარი სწორად აღიქვას ნების არსი და განსაზღვროს მისი შედეგი. ამასთან, სუბიექტი, რომელიც სჩადის აღნიშნულ დანაშაულს დარწმუნებული უნდა იყოს მსხვერპლის ნების ნამდვილობაში;
 - მსხვერპლი უნდა იყოს მომაკვდავი. სახეზე გვაქვს ე.წ. ჰიპოთეტური მიზეზობრიობა. ჰიპოთეტური მიზეზობრიობის დროს ქმედება დააჩქარებს შედეგს, რომელიც ისედაც დადგებოდა. მსხვერპლი მაინც მოკვდებოდა, ხოლო პირის ქმედებამ მისი სიკვდილი მხოლოდ დააჩქარა. მიუხედავად შედეგის იდენტურობისა, პირს ქმედება ობიექტურად შეერაცხება, ვინაიდან მან თუნდაც მცირე დროით, მაგრამ მაინც დააჩქარა შედეგის დადგომა. „მსხვერპლი მაინც მოკვდებოდა“ - ობიექტურ შეერაცხვას არ გამორიცხავს²¹;
 - ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტის მიზანი უნდა იყოს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლება. თუ ქმედების ჩამდენს არ ამოძრავებს აღნიშნული მიზანი, ის დაისჯება მკვლელობისათვის. ბრალთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ განსახილველი დანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნეს არაპირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ მომაკვდავის დაჟინებული თხოვნით სჩადის მკვლელობას, რომელიც არ სურს, მაგრამ მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით უშვებს მას²². არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით შესაძლებელია ჩადენილ იქნეს აგრეთვე პირდაპირი განზრახვით²³.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 110-ემუხლით კვალიფიკაციას და წარმოადგენს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე) გაცილებით მსუბუქია, ვიდრე განზრახ მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე). მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შედეგს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს, კანონმდებელი ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს და აწესებს მსუბუქ სასჯელს. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაული რომლისთვის გათვალისწინებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება ხუთ წელს, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას.

²¹ ტურავამერაბი, სისხლისსამართალი (ზოგადინაწილისმიმოხილვა), თბილისი, 2009, ბონა კაუზა, გვ. 108.

²² წულაიაზაურ, დანაშაულიადამიანისწინააღმდეგ, თბილისი, 2000, ინტელექტი, გვ. 52.

²³ მზია ლეკვეიშვილი, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბილისი, 2005, მერიდიანი, გვ. 48.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თვითმკვლელობის მცდელობას და თვითმკვლელობაში დახმარებას, როგორც დანაშაულის სახეს არ ითვალისწინებს. ამასთან, დანაშაულში თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა ე.ი. თანამონაწილის ცნება დამოკიდებულია ამსრულებლის ცნებაზე. ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების ან მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს²⁴. მიუხედავად ამისა, თვითმკვლელობაში დახმარების შემთხვევაში სუბიექტს პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით (მაგალითად, დაუხმარებლობა). სწორედ ამ მეთოდით გამოესაღმა სიცოცხლეს უამრავი ადამიანი ცნობილი ექიმის ჯეკ გევორქიანის მიერ შექმნილი „თვითმკვლელობის მანქანით“, რომელიც საკუთარ სისხლში ტოქსიკური პრეპარატების შეყვანის საშუალებას აძლევდა იმ პაციენტებს, რომელთაც არ შეეძლოთ ან არ სურდათ თვითმკვლელობა სხვა მეთოდით.

ევთანაზიის სამართლებრივი ასპექტის განხილვისას, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული კანონმდებლობა პაციენტს უფლებას აძლევს უარი განაცხადოს მკურნალობაზე, რაც არ წარმოადგენს ევთანაზიას. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 148-ე მუხლის თანახმად: „ტერმინალურ სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე“. ამასთან: „ტერმინალურ სტადიაში ავადმყოფის უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მომაკვდავი ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით და მისი (პაციენტის) პიროვნული შეხედულებების გათვალისწინებით უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე“. განსხვავებით პასიური ევთანაზიისაგან, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა სიცოცხლის მოსწრაფება, არამედ ხელოვნური საშუალებებით სიცოცხლის გახანგრძლივებაზე უარის თქმა. მკურნალობაზე უარის თქმის უფლება ასახულია აგრეთვე, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლში, რომლის თანახმად: „ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული“, ხოლო ამავე კანონის 24-ე მუხლის თანახმად: „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ, თუ მითითებული გარემოებები გამოწვეულია ა) განუკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას“.

²⁴ა. გაბიანი, ნ. გვენეტაძე, ი. დვალიძე, ნ. თოდუა, მ. ივანიძე, გ. მამულაშვილი, გ. ნაჭყებია, გ. ტყემელიაძე, გ. ხუროშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2007, მერიდიანი, გვ. 201.

3. ევთანაზია სამართლებრივი რეგულაცია სხვადასხვა ქვეყანაში

ნიდერლანდები პირველი ქვეყანაა, რომელმაც ევთანაზიის ლეგალიზაცია მოახდინა, თუმცა მისი განხორციელება მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მიხედვით, დასჯად ქმედებას წარმოადგენს, სიცოცხლის შეწყვეტა მსხვერპლის ნამდვილი და კატეგორიული თხოვნის საფუძველზე, თუმცა ამავე მუხლში ვხვდებით გამონაკლისს, რომლის მიხედვით, თუ ევთანაზიის განმახორციელებელი არის ექიმი და დაცულია კანონით დადგენილი კრიტერიუმები, ექიმის ქმედება მოექცევა კანონის დაცვის ქვეშ და თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ექიმის მიერ ევთანაზიის შესრულების სავალდებულო წესებსა და კრიტერიუმებს ადგენს ნიდერლანდების 2002 წლის 1 აპრილის კანონი „თხოვნის საფუძველზე სიცოცხლის შეწყვეტისა და თვითმკვლელობაში დახმარების კონტროლის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის მიხედვით, ექიმის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ექიმი: 1. დარწმუნდება, რომ პაციენტის ნება არის ნებაყოფლობითი და მას გააზრებული აქვს გადაწყვეტილება; 2. დარწმუნდება, რომ პაციენტის მდგომარეობა უიმედოა, ხოლო ტანჯვა აუტანელი; 3. პაციენტს მიაწვდის ინფორმაციას მისი მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივის შესახებ; 4. პაციენტთან ერთად დარწმუნდება, რომ არსებულ ვითარებაში არ არსებობს სხვა გონივრული ალტერნატივა; 5. მიღებული აქვს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი ექიმის კონსულტაცია, რომელმაც გასინჯა პაციენტი და წერილობით პუნქტობრივად შეაფასა ზემოაღნიშნული ყველა კრიტერიუმი; 6. ევთანაზიის განხორციელებისას ან თვითმკვლელობაში დახმარებისას გამოიჩინა სამედიცინო გულისხმიერება. აღსანიშნავია, რომ ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 294-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს თვითმკვლელობაში დახმარება, თუმცა აქაც დაწესებულია იგივე გამონაკლისი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ჰოლანდიის მსგავსად ევთანაზია ლეგალიზებულია ბენილუქსის დანარჩენ ორ ქვეყანაში.

გერმანიის სისხლის სამართლი კოდექსის 216-ე მუხლის თანახმად, მკვლელობა მსხვერპლის კატეგორიული და ნამდვილი თხოვნის საფუძველზე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე. ქართული კანონმდებლობის მსგავსად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება. ანალოგიური შინაარსის არის ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი, რომელიც აწესებს მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის დასჯადობას. ევთანაზიის საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია გერმანიის მძიმე წარსული, კერძოდ, ნაციონალ-სოციალისტების მიერ განხორციელებული ე.წ. ევთანაზიის პროგრამა, რომელსაც უამრავი ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი შეეწირა.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი დანაშაულის შემადგენლობა ცალკე არ არსებობს, შესაბამისად, ასეთი ქმედება კვალიფიცირდება როგორც მკვლელობა. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ასეთი მიდგომა საკითხისადმი წარმოადგენს ადამიანის

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი უპირატესობის გამოვლინებას²⁵. ევთანაზიის ცნება განსაზღვრულია ფედერალურ კანონში „რუსეთის ფედერაციაში მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების შესახებ“, რომლის 45-ე მუხლის თანახმად, მედიცინის მუშაკებს ეკრძალებათ ევთანაზიის განხორციელება, კერძოდ, პაციენტის თხოვნის საფუძველზე მისი სიცოცხლის ნებისმიერი ქმედებით (უმოქმედობით) ან საშუალებით დაჩქარება, მათ შორის, ხელოვნური საშუალებებით პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნების შეწყვეტა. აღსანიშნავია, ამავე კანონის 71-ე მუხლი, რომელშიც მოცემულია ექიმის ფიცის ტექსტი და აღნიშნულია, რომ ექიმმა უნდა გამოამჟღავნოს განსაკუთრებული პატივისცემა ადამიანის სიცოცხლის მიმართ და არასდროს მიმართოს ევთანაზიას. აღნიშნულ ჩანაწერს თუ გავანალიზებთ, ევთანაზიას კანონმდებელი მიიჩნევს, როგორც ადამიანის სიცოცხლისადმი უღირს დამოკიდებულებას.

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე დაისჯება ის ვინც საპატიო მოტივით, განსაკუთრებით შეცოდების გამო, მსხვერპლის ნამდვილი და დაჟინებული თხოვნის საფუძველზე მოკლავს ადამიანს. აღნიშნული დანაშაული არ ითვალისწინებს გამონაკლისს და სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით ან ჯარიმა. საინტერესო რეგულაციას ითვალისწინებს შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი, რომლის თანახმად ის ვინც ეგოისტური მოტივის გამო ადამიანს თვითმკვლელობაში დაეხმარება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით. თუ პირი არ მოქმედებს ეგოისტური მოტივით, არ დაისჯება, შესაბამისად, ექიმის მიერ სასიკვდილო წამლის გამოწერა, როდესაც მოტივს პაციენტის მიმართ სიბრალულის გრძნობა, ან მომაკვდავის ტანჯვისგან გათავისუფლების სურვილი წარმოადგენს, არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის რეგულაციის მიხედვით, მსხვერპლის თხოვნით, მისდამი სიბრალულის გამო, მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან ხუთ წლამდე. საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს, ამავე მუხლში განსაზღვრული გამონაკლისი, რომლის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენოს სასჯელის შემსუბუქების ზომა ან საერთოდ უარი თქვას მის დანიშვნაზე. როგორც ჩანს, კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის მოტივს.

ზემოთ განხილულია სხვადასხვა ქვეყნაში ევთანაზიის სამართლებრივი რეგულაციის პრეცედენტები. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ევთანაზია დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

4. ევთანაზიის ეთიკური ასპექტები

ეთიკა განმარტებულია, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ²⁶. მორალურობა არის რწმენათა და ფასეულობათა სისტემა, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ ინდივიდი შეასრულებს თავის ვალდებულებას საზოგადოების სხვა წევრების წინაშე და მოიქცევა ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს სხვათა უფლებებთან

²⁵კობა ბუაძე, „მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით - საკანონმდებლო მსჯელობის საგანი“, ჟურნალი სამართალი №3, 2002, გვ. 30.

²⁶ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 4, თბილისი, 1979.

და ინტერესებთან²⁷. მორალური განსჯა არის ადამიანთა მსჯელობა იმის შესახებ, თუ გარკვეულ სიტუაციაში რომელი მოქმედებაა სწორი და რომელი არასწორი²⁸.

ევთანაზიის ეთიკურ ასპექტზე საუბრისას პრობლემას წარმოადგენს პირის კერძო და საჯარო ინტერესის დაპირისპირება. იგი დაკავშირებულია პრინციპული ხასიათის კონფლიქტთან, ერთის მხრივ სიცოცხლეს, როგორც ღირებულებასა და მეორეს მხრივ, ადამიანის ნებას შორის. ევთანაზიის მომხრეთა ძირითადი მოსაზრება ეფუძნება ადამიანის მიერ ნების დამოუკიდებლად გამოვლენის მნიშვნელობას და მის უფლებას ღირსეულ სიკვდილზე. „სიკვდილის თავისუფლება“ ეფუძნება მოსაზრებას, რომ სიკვდილი არის ადამიანის ბუნებრივი არსებობის შემადგენელი ნაწილი²⁹. ადამიანის დაზადება და გარდაცვალება პერსონალური, ინტიმური მოვლენაა და არა საჯარო და რომ სიკვდილი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს³⁰. თუკი ადამიანის სიცოცხლე მშვენიერი იყო, ასეთივე უნდა იყოს სიკვდილი³¹. ყოველ ადამიანს აქვს არამარტო ღირსეული სიცოცხლის უფლება, არამედ სიკვდილის დროს საკუთარი ღირსების შენარჩუნების უფლებაც³². დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს კანონი განსაზღვრავს, ხოლო კანონის სამართლიანობა ყოველთვის მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ევთანაზიის დროს ადამიანი გამოხატავს ნებას ხელყოფილ იქნეს მისივე სიკეთე, ასეთ დროს რისკის მატარებელი თავად ადამიანია, მეორეს მხრივ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე საჯარო ინტერესის სფეროს განეკუთვნება. რამდენად სამართლიანია ადამიანს შეეუზღუდოთ ნების აღსრულება, თუნდაც სხვა ადამიანის ხელით, მაშინ როდესაც, ასეთი ნება ზიანს არ აყენებს სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის სამართლებრივ სიკეთეს. ამასთან, რატომ არ არის დასჯადი ქვეყნების უმრავლესობაში თვითმკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც იმავე სიკეთის - სიცოცხლის ხელყოფა ხდება. ევთანაზიაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში ნებისმიერი ინდივიდუალური მნიშვნელობის საკითხი შესაძლებელია ამორალურად იქნეს მიჩნეული, თუნდაც ის არ ახდენდეს გავლენას არც საზოგადო ინტერესზე და არც საზოგადოების კონკრეტული წევრის ინტერესზე.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, ექიმს თავისი პროფესიული ფუნქციიდან გამომდინარე დაუწერელი კანონი ავალდებულებს ბოლომდე ეძიოს გამოსავალი პაციენტის გადასარჩენად. მას ექიმის ეთიკის კოდექსს უწოდებენ, რომლის მიხედვითაც

²⁷ გერიგი რიჩარდ, ზიმბარდო ფილიპ, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, 2009, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 451 გვ.

²⁸ გერიგი რიჩარდ, ზიმბარდო ფილიპ, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, 2009, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 452.

²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია (სტატია: „სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“, კონსტანტინე კუბლაშვილი), თბილისი, 2006, გვ. 193.

³⁰ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული (სტატია: „სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით“, ევა გოცირიძე) რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007, გვ. 51.

³¹ ფრიდონ საყვარელიძე, „ევთანაზია მოწყალეა თუ მკვლელი“, ჟურნალი თავისუფლება, №7 (19), ივლისი 2003, გვ. 35.

³² ფრიდონ საყვარელიძე, „ევთანაზია მოწყალეა თუ მკვლელი“, ჟურნალი თავისუფლება, №7 (19), ივლისი 2003, გვ. 37.

ექიმის ერთადერთი ეთიკური მიზანი ადამიანის გადარჩენაა, თუმცა პრობლემა სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ადამიანის გადარჩენა შეუძლებელია და ექიმმა ბოლომდე ეძია გამოსავალი პაციენტის გადასარჩენად. ჰიპოკრატეს ფიცის შინაარსიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ როდესაც, პაციენტის გადარჩენის შესაძლებლობა არ არსებობს, ექიმი იძულებულია მხოლოდ მოვლენათა განვითარებას დაელოდოს, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი აუტანელი ტკივილით იტანჯება. ევთანაზია პაციენტის ტანჯვისგან გათავისუფლების უკიდურესი ფორმაა და გამოიყენება სწორედ იმ შემთხვევაში, როდესაც ალტერნატივა არ არსებობს.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, ევთანაზიაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის რესურსები, რომლებიც გამოიყენება იმ ადამიანთა გადასარჩენად, რომელთა გადარჩენაც შეუძლებელია და რომელთაც სიკვდილი სურთ. პლატონის აზრით: „სასამართლოც და ექიმიც უნდა ზრუნავდნენ მოქალაქეებზე, რომლებიც სრულყოფილნი არიან სულითაც და ხორციტაც, ხოლო ვინც ასეთი არ არის, ვინც სულითაც მანკიერია და ხორციტაც უკურნებელი, - ის უნდა მოკვდეს“. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა და ევთანაზიის ეთიკურ ასპექტზე მსჯელობისას მსგავსი არგუმენტის დასახელება ცალსახად ამორალურია. რაიმე სახის რესურსის დაზოგვა და ამით ევთანაზიის მხარდაჭერა უფრო ფაშიზმის გამოვლინებას ჰგავს, როდესაც ვითომდა სიბრალულის მოტივით უამრავი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ნაციონალ-სოციალისტების ქმედება კარგად გათვლილ მკვლელობათა სერიას წარმოადგენდა და სწორედ ადამიანის სიცოცხლის ფასად მატერიალური საშუალებების დაზოგვისკენ იყო მიმართული.

ევთანაზია რელიგიის ყურადღების მნიშვნელოვანი ობიექტია. რელიგიათა უმრავლესობას საერთო ღირებულებები გააჩნია, თუმცა დოქტრინალურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რელიგიის ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები ძირითადად გამოხატულია იმ წესებში, რომელიც ადამიანმა უნდა დაიცვას და მათი უმრავლესობა ადამიანის მოკვლას უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. ევთანაზია წინააღმდეგობაშია მცნებასთან „არა კაც ჰკლა“, ვინაიდან, მიუხედავად მოტივისა, სახეზე გვაქვს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. საკამათოა, რამდენად არის მიზანშეწონილი ევთანაზიის ზოგად ეთიკურ ასპექტებზე მსჯელობა რელიგიური ეთიკის შეხედულებებით. ეთიკა, როგორც საზოგადოებაში საყოველთაოდ მოქმედი დაუწერელი ნორმები და რელიგიური ეთიკა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. რელიგიური ეთიკა ვერ იქნება ევთანაზიის აკარგიანობის საყოველთაო საპირწონე, ვინაიდან ყველა პირს აქვს რწმენის თავისუფლება, ხოლო რელიგიებს განსხვავებული შეხედულებები. კონკრეტული რელიგია და მისი ეთიკური შეხედულებანი, ვიწროა და ვრცელდება მხოლოდ ამ რელიგიის მქონე ადამიანებზე, ხოლო ეთიკა საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ევთანაზიის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებით, ევთანაზია ბუნებრივი სიკვდილის უარყოფაა, ამასთან, ევთანაზიის კანონით აკრძალვა ადამიანის ტანჯვის ნებართვა³³. ამ შემთხვევაშიც პრობლემას ადამიანის ნების უგულებელყოფა წარმოადგენს, ევთანაზიის დროს ადამიანი თავად განსაზღვრავს საკუთარ ბედს, ყოველგვარი იძულების გარეშე. თუ

³³ფრიდონ საყვარელიძე, „ევთანაზია მოწყალეა თუ მკვლელობა“, ჟურნალი თავისუფლება, №7 (19), ივლისი 2003, გვ. 37.

ევთანაზია ბუნებრივი სიკვდილის უარყოფაა, მაშინ სიცოცხლის ხელოვნური გახანგრძლივების თანამედროვე საშუალებანიც ბუნებრივი სიცოცხლის უარყოფას წარმოადგენს, უფრო მეტიც, ადამიანის მკურნალობა, წამლის მიღებაც კი ბუნებრივი სიცოცხლის უარყოფა და სიცოცხლეში ხელოვნური ჩარევაა.

საინტერესოა მედიცინის წარმომადგენელთა მოსაზრება რომლის თანახმად, ევთანაზიის დაკანონებით სიცოცხლის მნიშვნელობა, ღირებულება დაეცემა. საზოგადოებას შეერყევა რწმენა ექიმის და ჯანდაცვის მიმართ და გაიზრდება ექიმთა რიცხვი რომლებიც დანაშაულს ჩაიდენენ³⁴. შესაძლებელია, საზოგადოებაში სიცოცხლის მნიშვნელობა ტანჯვაში მყოფი ადამიანის ყურებით უფრო გაუფასურდეს. უფრო მნიშვნელოვანია არგუმენტი, რომლის თანახმად ადამიანს შეიძლება შეერყას ექიმის მიმართ რწმენა. საზოგადოებას რომელსაც კარგად არ აქვს გააზრებული ევთანაზიის მნიშვნელობა, მას აღიქვამს, როგორც ექიმის მიერ გამოსავლის პოვნას. შესაძლებელია, ექიმის მიმართ შიში გაიზარდოს და მან მკვლელის რეპუტაცია დაიმკვიდროს³⁵. მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციის გარეშე, მაღალი იქნება ექიმის მიერ ევთანაზიის განხორციელების უფლების ბოროტად გამოყენების რისკი.

ევთანაზიასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, კერძოდ, პაციენტის ნების სერიოზულობა და ნების გამოხატვის თავისუფლება. არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია პაციენტის ნამდვილი ნების დადგენა. მძიმე ავადმყოფის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სჭარბობს სკეპტიკური დამოკიდებულება, კრიტიკული უნდობლობის მდგომარეობა. პაციენტის მიერ ნების გამოხატვა შესაძლებელია განპირობებული იყოს აგრეთვე მომენტალური აფექტით ან ძლიერი ტკივილებით³⁶. რისკის არსებობა დაუშვებელია, შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგულაციას, აგრეთვე, თანამედროვე სამედიცინო მეთოდებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება დადგინდეს ადამიანის ნების გამოხატვის ნამდვილობა.

არსებობს კითხვა, რომლის მიხედვით, თუ ვინმეს სურს თავის მოკლვა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ რატომ უნდა დააკანონოს მისი ახირება და უდიდესი ცოდვა ექიმის ხელით აღასრულოს, რომელიც იარაღია თვითმკვლელობის ხელში. ევთანაზია თვითმკვლელობასთან უფრო შეიძლება გავაიგივოთ, ვიდრე მკვლელობასთან. ამ შემთხვევაში ექიმი მიზნის მიღწევის საშუალებაა, ამიტომაც უნდა ვისაუბროთ არა ექიმის საქციელის ეთიკურობაზე, არამედ პაციენტის გადაწყვეტილების და ზოგადად ევთანაზიის ეთიკურობაზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სიკვდილისწინა პერიოდში მყოფი ადამიანი ვერ მოახერხებს თავის მოკვლას. ჯეკ გევორქიანი, რომელსაც უამრავი ადამიანის მკვლელობას მიაწერენ განსხვავებული მეთოდით ცდილობდა ადამიანებისათვის ტკივილის შემსუბუქებას. მისი გამოგონილი აპარატით მსხვერპლს საშუალება ეძლეოდა თავის მოკვლის, ის თავად იღებდა გადაწყვეტილებას. პაციენტის ერთი ხელის მოძრაობით მის სისხლში ხვდებოდა სასიკვდილო ინექცია. აღნიშნული მეთოდი მხატვრულად არის წარმოჩენილი ბარი ლევინსონის მიერ 2010 წელს გადაღებულ ფილმში „შენ არ იცნობ ჯეკს“.

³⁴ Euthanasie, Nationale und Europäische Perspektiven, Band 2, Münster, 2005, Lit Verlag, S. 50.

³⁵ Christian Merkel, Tod den Idioten, Berlin, 2006, Logos Verlag, Berlin GmbH, S. 178.

³⁶ Christian Merkel, Tod den Idioten, Berlin, 2006, Logos Verlag, Berlin GmbH, S. 181.

აღსანიშნავია, რომ ექიმის მიერ ნათქვამი ფრაზა „ვერ გადარჩება“ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. აღნიშნული დასკვნის გაკეთებიდან ადამიანის სიკვდილამდე, თუნდაც მცირე დროში, შესაძლებელია თანამედროვე მედიცინამ შეძლოს იმ დაავადების განკურნება, რომლის გამოც პაციენტი იტანჯება. გარდა სამედიცინო მიღწევებისა, მედიცინის ისტორიაში მომხდარა მრავალი, ექიმებისთვის აუხსნელი სასწაული, როდესაც სასიკვდილოდ განწირული პაციენტი გადარჩენილა. სიცოცხლის მიმართ ადამიანს არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება.

5. დასკვნა

ევთანაზიის ლეგალიზების საკითხი საზოგადოების მხრიდან მრავალ ქვეყანაში მწვავე დისკუსიის საგანი გამხდარა და ცხადია მომავალშიც გახდება. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციები არსებობს, განსხვავებულია აგრეთვე საზოგადოების დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ. საქართველოში ევთანაზია დანაშაულს წარმოადგენს, რასაც საზოგადოების მხრიდან პროტესტი ან მწვავე კრიტიკა ჯერ არ მოჰყოლია. მსჯელობა იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ევთანაზია ლეგალიზებული იმ სიკეთეთა ურთიერთშედარების საკითხია, რომელიც მსგავს სიტუაციაში იჩენს თავს. ევთანაზიის ეთიკურ ასპექტთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები და მწვავე კრიტიკა ყოველთვის იარსებებს, ხოლო კანონი ყოველთვის ერთ მხარეს იჭნება. იმ ქვეყნებში სადაც ევთანაზია ლეგალიზებულია, ადამიანს აქვს საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება, ხოლო ეფექტური საკანონმდებლო მოწესრიგება და მკაცრი მასშტაბები გამორიცხავს ევთანაზიის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ ევთანაზია ეს თითოეული ადამიანის მიერ მიღებული ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებაა, ყოველგვარი იძულების გარეშე. მედიცინა ხშირად უძლურია და თითოეული ინდივიდი შეიძლება აღმოჩნდეს იმ რისკის ქვეშ რასაც ტანჯვა ეწოდება და რომლის აღქმა არცერთ ჯანმრთელ ადამიანს არ ძალუძს. საინტერესოა ექიმ სანდერის სიტყვები, რომელმაც ინექცია გაუკეთა ტანჯვით გაწამებულ ადამიანს. მან თქვა: „მე არც დანაშაული ჩამიდენია და არც ცოდვა. ვიცი, რომ ჩემი მოქმედება კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ვთვლი, რომ მორალურად ამისი უფლება მქონდა“.

მიუხედავად ევთანაზიის მიმართ გამოთქმული მრავალი მოსაზრებისა, ჩემი აზრით, უპირატესობა ადამიანის ნებას უნდა მიენიჭოს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში არსებობს მკაცრი საკანონმდებლო რეგულაცია, დეტალურად განსაზღვრული პროცედურა, არ არსებობს გამოსავალი ადამიანის გადარჩენისა და შესაძლებელია ადამიანის ნების ნამდვილობის დადგენა. აღნიშნული წინაპირობების არსებობისას, არ შეიძლება სახელმწიფომ დაუშვას ადამიანის ტანჯვა, მით უმეტეს, რომ ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ ინტერესს რეალურ ზიანს არ აყენებს. და ბოლოს, ჩვენი სიცოცხლე სახელმწიფოს არ ეკუთვნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წელი.
2. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 1997 წელი

3. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, 2000 წელი
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი
5. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსი, 1881 წელი
6. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 1871 წელი
7. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1996 წელი
8. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი, 1974 წელი
9. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი, 1937 წელი
10. პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 1997 წელი
11. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007
12. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2006
13. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), ტურავა მერაბი, თბილისი, ბონა კაუზა, 2009
14. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წულაია ზაურ, თბილისი, ინტელექტი, 2000
15. სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, მზია ლევკიშვილი, წიგნი 1, თბილისი, მერიდიანი, 2005
16. ა. გაბიანი, ნ. გვენეტაძე, ი. დვალიძე, ნ. თოდუა, მ. ივანიძე, გ. მამულაშვილი, გ. ნაჭყებია, გ. ტყეშელაშვილი, გ. ხუროშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2007, მერიდიანი
17. ფსიქოლოგია და ცხოვრება, გერიგი რიჩარდ, ზიმბარდო ფილიპ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
18. „მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით - საკანონმდებლო მსჯელობის საგანი“, კობა ბუაძე, ჟურნალი სამართალი №3, 2002
19. „ევთანაზია მოწყალეობა თუ მკვლელობა“, ფრიდონ საყვარელიძე, ჟურნალი თავისუფლება, №7 (19), ივლისი 2003
20. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 4, თბილისი, 1979
21. Mandy Beyer, Euthanasie – aktive Sterbehilfe, 1. Auflage, GRIN Verlag, S. 3, 2001
22. Euthanasie, Nationale und Europäische Perspektiven, Band 2, Münster, Lit Verlag, 2005
23. Christian Merkel, Tod den Idioten, Berlin, Logos Verlag, Berlin GmbH, 2006

რეზიუმე

სტატიის ძირითად მიზანს ევთანაზიის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტების წარმოჩენა წარმოადგენს. სტატიაში განმარტებულია ევთანაზიის ცნება და განხილულია, სამართლებრივი რეგულაციის საკითხი როგორც საქართველოში, აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ქვეყნის მიდგომას ევთანაზიის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. სტატიაში მოყვანილია გავრცელებული მოსაზრებები ევთანაზიის ეთიკურ ასპექტთან დაკავშირებით და განხილულია ევთანაზიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

წმინდა გიორგი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკასა და რელიგიაში

„ქართული ცნობიერების ხატია წმინდა გიორგი,
ბოროტების ძალთა წინააღმდეგ ამხედრებული.
ამიტომ არის იგი გერბი საქართველოსი...“
ზვიად გამსახურდია

დავით ანანიძე
სამართლის ბაკალავრი

1. შესავალი

მოცემული თემა აქტუალურია, რადგანაც ქართულ სახელმწიფო სიმბოლიკაში, ერთი მხრივ, საქართველოს და მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გერბზე წმინდა გიორგი, რომელიც გერბების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, სხვადასხვა მხარესაა მიმართული. კერძოდ, სახელმწიფოს გერბზე დასავლეთისკენ, ხოლო ეკლესიის გერბზე აღმოსავლეთისკენ.

სტატიის მიზანია, ხატების მოძიებითა და შესწავლით გამოვლინდეს წმინდა გიორგის მიმართულება. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სახელმწიფოს გერბზე დასავლეთისკენ მიმართულება პოლიტიკური გადაწყვეტილებათა ან მხატვრის შეცდომაა.

2. წმინდა გიორგი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაში

2.1. წარსულის ქრონიკები

როდესაც ვსაუბრობთ წმინდა გიორგიზე ყოველთვის თვალწინ წარმოგვიდგება გველეშაპთან მებრძოლი გიორგი და ის ხატები თუ სიმბოლოები, რომლებიც ამ სცენას ასახავენ. მსოფლიოში გვხვდება მხოლოდ ორი ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სახელმწიფო საქართველოსა და რუსეთის სახით, რომელთა სახელმწიფო სიმბოლიკა დაკავშირებულია გველეშაპთან მებრძოლ წმინდა გიორგისთან. მაგრამ აქ ყურადღება მინდა გავამახვილო წმინდანის მდგომარეობაზე მოცემული ქვეყნების გერბებზე. საქართველოს გერბზე წმინდა გიორგი დასავლეთისკენაა მიქცეული, რუსეთისაზე კი - აღმოსავლეთისკენ.

წმინდა გიორგი დასავლეთისკენაა მიმართული ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შექმნილ ესკიზში, საქართველოს გერბი რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბში. წიგნში - საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი იმ დროინდელი საქართველოს გერბია ასახული. წიგნში საუბარი იყო უშუალოდ ქართველი ერის აღწერაზე, რომლებიც თავიანთი სილამაზით, წიგნის მოყვარეობით და კარგი მხედრობით გამოირჩეოდნენ. წმინდა გიორგიზე კი მხოლოდ მისი გმირობის ფრაგმენტები

იყო მოყვანილი.³⁷ მოცემული ინფორმაციით კი შეიძლება ვივარაუდო, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა გერბში ასახა „წმინდა გიორგის“ სახით ქართველი გმირი მეომარი და უშუალოდ, ალბათ ყურადღება სულაც არ მიუქცევია თუ რომელ მხარეს იქნებოდა მიმართული წმინდა გიორგი.



გერბი „საქართველოს“ - ვახუშტი
ბაგრატიონი



მუხრან-ბატონის დროშის ბუმი



საქართველოს გერბი რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბში. 1882 წ.

ასევე აღმოჩენილი იქნა ბაგრატიონთა გერბი, „პროტექტორატის“ დროინდელი გერბი და საქართველოს გერბი 1672 წლის „ტიტულიარნაკიდან“, სადაც რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. აქ წმინდანი აღმოსავლეთისაა კენაა მიმართული:

³⁷ საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გამცემლიძე, თ. კიკნაძე, თბ., 1991.



ბაგრატიონების ღერბი



„პროტექტორატის“ დროინდელი გერბი



საქართველოს გერბი 1672 წლის „ტიტულიარნიკიდა“

წმინდა გიორგის მიმართულების შესწავლის დროს ყურადსაღებია გამსახურდიას დროინდელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა.



საქართველოს სახელმწიფო გერბი 1994-2004 წ.



შეიარაღებული ძალების გერბი

გამსახურდიას დროინდელ „გიორგის“ თეთრი გიორგი ერქვა (1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: საქართველოს რესპუბლიკის ღერბია თეთრი გიორგი შვიდი მნათობით), მას ჩამოშორებული ქონდა ისეთი ელემენტები, როგორიცაა: გველშაპი და შარავანდედი, ჩემის ღრმა რწმენით ამ დეტალების არქონა გამოწვეული იყო იმდროინდელი სახელმწიფო

წეს-წყობილებიდან. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციის მეთექვსმეტე თავში ვკითხულობთ: „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული არიან; არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.“ ამ დეტალების გარეშე რა თქმა უნდა შეცდომა იქნებოდა წმინდა გიორგის წოდება გერბზე ასახულ ცხენოსანზე. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1918 წელს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე მუშაობა წარიმართა ყოველგვარი წესების დარღვევით. დამფასებელთა კოლეგია უნდა ყოფილიყო მთავრობის, პარლამენტის, მეცნიერთა და მხატვართა საზოგადოების წარმომადგენლები, მაგრამ ეს საპასუხისმგებლო „მისია“ მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო. თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ დროინდელი გერბი შემუშავებული იქნა იოსებ შარლემანის (რუსი კლასიკოსი, მხატვარი) მიერ და სრულიად არ იქნა დაცული ქართული სტილი. ქართული სიმბოლიკა სრულიად აგებული იქნა რუსულ სტილზე, როცა საქართველოს აქვს შესაბამისი სტილიც, ისტორიაც და კულტურაც. რუსულ სტილზე მივიღებთ მხედარს, რომლებსაც სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი უწოდებს - Георгий Победоносец.



რუსეთის გერბი

2.2. აწმყოს გამოძახილი

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის (გერბის) ავტორი მამუკა გონგაძე, რომელიც იმავდროულად იყო გამსახურდიას დროინდელი გერბის ავტორიც აცხადებს, რომ გამსახურდიას დროს აღმოსავლეთისაკენ მივმართე წმინდა გიორგი და შეცდომა დავუშვიო, მაშინ კარგად არ ვიცნობდი საქართველოს ისტორიასო. იმდროინდელ წმინდა გიორგის „თეთრი გიორგი“ ერქვაო, რომელიც რუსეთის გერბზე ასახული წმინდა გიორგის ანალოგიაო.

2004 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს გერბის შესახებ მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებულია შემდეგი: მეწამულ ველზე გამოსახული ოქროს ჯვრის ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი წმინდა გიორგი...³⁸ მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი თუ საითკენ უნდა იყოს მიმართული წმინდანი.

ასე გამოიყურება დღევანდელ საქართველოს გერბი:

³⁸ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს გერბის შესახებ
http://www.heraldika.ge/uploads/gerbis_kanoni.pdf.



საქართველოს სახელმწიფო გერბი



აჭარის ა.რ. გერბი



წმ. გიორგის გამარჯვების ორდენი



წმ. გიორგის გამარჯვების ორდენი

ანალოგიურადაა წმინდა გიორგი წარმოჩენილი დღევანდელ სხვა სახელმწიფო სიმბოლოებში: სერჟანტთა სკოლის გერბზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გერბზე და ა.შ.

2.3. მართლმადიდებლური რუსეთის ფედერაციის სიმბოლიკა

რაც შეეხება რუსეთს. წმინდა გიორგი გამოსახულია რუსეთის გერბზე, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთისკენ. რუსეთი კანონში გერბის შესახებ პირველ მუხლში შემდეგი წერია: „...არწივის მკერდში, წითელ ფარზე – ვერცხლის მოსასხამიანი მხედარი ვერცხლის ცხენზე, ვერცხლის შუბით მებრძოლი და ცხენის ფლოქვებით გათელილ დრაკონთან.“³⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლისფერ ცხენზე ამხედრებული მხედარი არის თუ არა წმინდა გიორგი არ არის მითითებული კანონში, მაგრამ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით იგი წმინდა გიორგი უნდა იყოს. არც ამ კონონშია მითითებული თუ საერთოდ, რომელ მხარეს უნდა იყოს მიმართული წმინდა გიორგი.

³⁹ ФЕДЕРАЛЬНЫЙ КОНСТИТУЦИОННЫЙ ЗАКОН РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ О Государственном гербе Российской Федерации; http://www.gov.ru/main/symbols/gsr2_1.html.



რუსეთის გერბი

3. წმინდა გიორგი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში

3.1. წმინდა გიორგი საპატრიარქოს სიმბოლიკაში

გველემპათან მეგრძოლი წმინდა გიორგის მიმართულების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს რელიგიური კუთხით. თუმცა არის ისეთი ხატები, რომლებიც დასავლეთისკენ განსაზღვრავს წმინდანის მიმართულებას და არის ხატები - რომლებიც აღმოსავლეთისკენ განსაზღვრავს. „ქრისტიანული წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა, ამავე დროს, არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველი. ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მახლობელი ქართული მოდემისათვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე“.⁴⁰ საქართველოს საპატრიარქოს სიმბოლიკაშიც კი განსხვავებული მდგომარეობაა.



2004 წლამდე



2004 წლის შემდეგ

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, გერბზე წმინდა გიორგის დასავლეთისკენ მიმართვა იყო მართლმადიდებლური ტრადიციების დარღვევა. მაგრამ მთავარია არა ის, თუ რომელ მხარეს იქნება მიმართული, არამედ ის, რომ იგი საკურთხევისკენ უნდა იყოს მიმართული.

3.2. წმინდა გიორგის ხატების ქართული და უცხოური მართლმადიდებლური მაგალითები

⁴⁰ აირჩიე, ქართველო ერო!, ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები,
<http://zviadgamsakhurdia.blogspot.com/>.

ქართულ თუ უცხოურ ხატებში მრავლად გვხვდება წმინდანის ხატები როგორც დასავლეთსკენ, ისე აღმოსავლეთისკენ მიმართული:



საკოს წმ. გიორგი X ს.



ზუგდიდის წმ. გიორგი XIX ს.

წმინდა გიორგი ქართულ, მართლმადიდებლურ ხატებში პირისახით აღმოსავლეთისკენაა გამოსახული. შალვა ამირანაშვილის წიგნში - ქართული ხელოვნების ისტორია - აღმოჩენილი ხატებიც წმინდანის აღმოსავლეთისკენ მიმართულების ერთ-ერთ დამადასტურებელ მტიკცებულებად შეიძლება მოვიყვანოთ (მაგ.: კედლის ფრესკა, წმინდა გიორგი კლავს დიოკლიტიანეს 1096 წ.; წმინდა გიორგის ხატი, ხონი, 1626 წ. (აღმოსავლეთისკენაა მიქცეული))⁴¹:




საქართველო. XV ს.

მსგავსადაა წარმოჩენილი წმინდა გიორგი სინგაპურის, რუმინეთის, რუსეთის, საბერძნეთის (უძველესი დროიდან დღემდე საბერძნეთში წმინდა გიორგის რა ხატების მოპიებაც იქნა შესაძლებელი, ერთ-ორ ხატის გამოჩენისი შემთხვევისა, ყველა აღმოსავლეთისკენაა მიქცეული) ... ხატებშიც:

⁴¹ შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944




ძველი რუსეთი. XII ს.



საბერძნეთი



ხატმწერი ნანა ყუფარაძე.
ხატი დაწერილია სინგაპურში



ბულგარეთი. 1667 წ.

მაგრამ მაინც, კვლავ და კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება შემდეგი საკითხი, თუ საით უნდა იყოს წმინდა გიორგი მიქცეული. არსებობს (ზემოთ მოყვანილი ქართული ხატების გარდა) ხატები, სადაც წმინდა გიორგი დასავლეთისკენაა მიქცეული:



საბერძნეთი. დაახლ. 1600 წ.
ხატმწერი იერემია პალადისი



რუსეთი. XVI ს.

3.3. წმინდა გიორგის ხატები კათოლიკურ ეკლესიაში

რა თქმა უნდა საინტერესოა, თუ როგორაა გამოსახული წმინდა გიორგი კათოლიკური ქვეყნების ეკლესია-მონასტრებში. აქაც მსგავს პრობლემას ვაწყდებით. არის ხატები, სადაც

წმინდა გიორგი აღმოსავლეთისკენაა მიქცეული, ზოგიერთ შემთხვევაში კი - დასავლეთისკენ:



წმ გიორგის მინის ხატი უკრაინულ
კათოლიკურ
ეკლესიაში, ოშავა, ონტარიო



წმ. გიორგის ეთიოპიური ხატი



წმ. გიორგის ერთ-ერთი კათოლიკური ხატი



წმ. გიორგი, (IX ს.) სპასკის მონასტერი,
ლიბანი

3.4. წმინდა გიორგი ცნობილი მხატვრების ტილოებზე

წმინდა გიორგი მარცხნივაა მიქცეულ ცნობილი მხატვრების ტილოებზეც (რუბენსი, რაფაელი). უცნობია რატომ აირჩიეს მხატვრებმა წმინდანის ეს მიმართულება. შეიძლება წმინდანის სახით მათ მხოლოდ მტერზე გამმარჯვებელი მეზრძოლი აღბეჭდეს.



რაფაელი, წმ. გიორგი, ლუვრი, საფრანგეთი



რუბენსი, წმ. გიორგი, პრადოს მუზეუმი,
მადრიდი

4. მამა ნიკოლოზი წმინდა გიორგის მიმართულების შესახებ

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გერბზე და საქართველოს სახელმწიფო გერბზე წმინდა გიორგი სხვადასხვა მიმართულებით გამოსახვა შეიძლება შეცდომის ბრალი იყოს ან პოლიტიკის.

ყოველივე ზემოთ თქმულზე კითხვის ნიშნის მოსახსნელად სტატიის მომზადების ფარგლებში მოხდა გასაუბრება მამა ნიკოლოზთან, რომელიც ბათუნის სასულიერო სემინარიაში ასწავლის და ამავე დროს გახლავთ ხატმწერი.

- მამა ნიკოლოზ, ამ ეტაპზე რა ინფორმაციაც არის ჩემს ხელთ წმინდა გიორგიზე თუ საიტკენ უნდა იყოს მიმართული (აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ) ცალსახა პასუხი არ მაქვს. არის ხატების ნაწილი, სადაც დასავლეთისკენაა მიქცეული და არის ხატები – სადაც აღმოსავლეთისკენაა მიქცეული. თქვენი აზრით, რით არის განპირობებული და აქვს თუ არა მნიშვნელობა მიმართულებას?

- მთავარია წმინდანის პირისახით საკურთხევლისკენ იყოს მიქცეული. აქ გასათვალისწინებელია ტაძრის განლაგება, თუ სად არის საკურთხეველი. რა თქმა უნდა ხატებში, სადაც დასავლეთისკენაა და სადაც აღმოსავლეთისკენ საბოლოოდ საკურთხევლის მიმართ ორივე ერთნაირად იქნება, მაგრამ თუ ჩამოვხსნით კედლიდან ხატებს და შევადარებთ სხვადასხვა მიმართულებით გამოვა.

- საერთოდ, როგორ არის ხატწერაში მიღებული. აღმოსავლეთისკენ მიქცეული უნდა იყოს თუ დასავლეთისკენ?

- როდესაც წმინდანის ხატის წერას ვიწყებ ყოველთვის აღმოსავლეთისკენ მივმართავ ხოლმე. და საერთოდ, ხატებში, სადაც დასავლეთისკენაა მიქცეული უფრო ძველი პერიოდისაა. თანამედროვე პერიოდში კი მსგავს ხატებს ნაკლებად შეხვდებით.

- რას იტყვით საპატრიარქოს გერბზე? როგორც ვიცი გერბზე გამოსახული წმინდა გიორგი 2004 წლამდე დასავლეთისკენ იყო მიმართული, ხოლო 2004 წლიდან დღემდე აღმოსავლეთისკენაა მიქცეული.

- ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან საქმის კურსში არ ვარ. ერთი კი დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ წმინდანის მიმართულებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

5. დასკვნა და რეკომენდაცია

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს გერბზე ისტორიულადაც წმინდა გიორგი გამოსახებოდა როგორც დასავლეთის მიმართულებით, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით და ამჟამინდელ სახელმწიფო სიმბოლოზე დასავლეთის მიმართულებით წმინდა გიორგი არაა პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარე, ისტორიიდანაც მოეპოვება მას პარალელი. მაგრამ, რადგანაც ქართულ მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლიკაზე ამჟამად წმინდა გიორგი აღმოსავლეთის მიმართულებას ანიჭებს უპირატესობას, კარგი იქნებოდა სახელმწიფოს სიმბოლიკაშიც წმინდა გიორგი აღმოსავლეთის მიმართულებით გამოსახულიყო. ასევე კარგი იქნება თუ საქართველოს კანონში გერბის შესახებ გაკეთდება ჩანაწერი წმინდანის მიმართულების შესახებ, რათა შემდეგ წმინდანი არ გახდეს

პოლიტიკური სპეკულაციის მიზეზი - ქვეყანა დასავლეთისაკენ მიდის და იქეთკენაა მიმართული წმ. გიორგი თუ რუსეთისკენ და აღმოსავლეთისკენაა მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს დროშები და გერბები, - ვახუშტი ბატონიშვილი; 1991 წ.
2. „ქართული ხელოვნების ისტორია“ – შალვა ამირანაშვილი; 1944 წ.
3. შემეცნებითი აღმანახი - „ჰეროლდი“;
4. ზვიად გამსახურდია; „აირჩიე, ქართველო ერო!“ -
5. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს გერბის შესახებ; 01.05.2004 წ.
6. ФЕДЕРАЛЬНЫЙ КОНСТИТУЦИОННЫЙ ЗАКОН РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ О Государственном гербе Российской Федерации. 25.12.2000 Г.

რეზიუმე

ჩვენ ვცხოვრობთ ერთ სახელმწიფოში, ვართ მართლმადიდებლური ქვეყანა და გვაქვს ორი განსხვავებული სიმბოლიკა. სიმბოლიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი „წმინდა გიორგი“ სხვადასხვა მიმართულებითაა გამოსახული სახელმწიფო და ეკლესიის გერბზე. რადგანაც საქართველოს კანონშიც და მართლმადიდებლურ სამყაროშიც აღიარებულია ერთი წმინდანი „წმინდა გიორგის“ სახით და უმჯობესი იქნება თუ ქვეყანაში იქნება ერთი სახის გერბი და წმინდანი ერთი მიმართულებით იქნება მიმართული.

ბავშვთა შრომის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები

ნათია სვანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

1. შესავალი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ბრძოლა ბავშვთა შრომის წინააღმდეგ. მისი მონაცემების თანახმად მსოფლიოში 171 მილიონი ბავშვია დასაქმებული, მათ შორის შრომის უკიდურეს ფორმებში - 87 მილიონი.⁴² მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი და აპრობირებულია ბავშვთა შრომის აღმოფხვრის ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები, ის დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი დაუძლეველი პრობლემაა. ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურია ქართული სინამდვილისთვისაც, სადაც მდგომარეობას ამძიმებს გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა და ამ საკითხებზე მომუშავე სუსტი ინსტიტუტები.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ერთის მხრივ, შეისწავლოს საქართველოში ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ხარვეზები, მეორეს მხრივ კი შეადაროს ისინი ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

კვლევა თვისობრივი ხასიათისაა, რომელიც იყოფა ორ ძირითად ნაწილად: პირველ ნაწილში გადმოცემულია ინფორმაცია ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შესახებ, მეორე ნაწილში კი განხილულია ამ მხრივ არსებული საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი ინსტიტუციური მექანიზმები.

2. სამართლებრივი მექანიზმები

მრავალმა კვლევამ ცხადყო, რომ მყარი კავშირი არსებობს სიღარიბესა და ბავშვის შრომას შორის, რაც იწვევს სიღარიბეში ყოფნის მუდმივ შესაძლებლობას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში შსო) განმარტებით ტერმინი „ბავშვთა შრომა“ განისაზღვრება როგორც სამუშაო, რომელიც ბავშვს ართმევს ბავშვობას, უქვეითებს პოტენციალს, ულახავს ღირსებას და ის არის მაგნე მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის.⁴³ კვლევამ: „ინვესტირება თითოეულ ბავშვში: ბავშვთა შრომის აღმოფხვრის ხარჯთსარგებლიანობის ეკონომიკური ანალიზი“ აჩვენა, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბავშვთა შრომის აღმოფხვრას შეუძლია იმ დანახარჯებზე 7-ჯერ უფრო მეტი ეკონომიკური სარგებლის მოტანა, რომელთა დიდი ნაწილიც უკეთეს განათლებასა და სოციალურ მომსახურებაში ინვესტიციებს უკავშირდება.⁴⁴ ბავშვთა შრომის შესახებ შსო-ს სტანდარტები წარმოადგენს ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტებს ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

⁴² <http://www.ilo.org/global/topics/child-labour/lang--en/index.htm> Child Labour. Facts and figures.

⁴³ <http://www.ilo.org/ipecc/facts/lang--en/index.htm> What is child labour. Defining child labour.

⁴⁴ Every Child Counts – New Global Estimates on Child Labour. Introduction. Pg.9. International Labour Organization. Geneva 2002.

შსო-ს მონაცემების თანახმად 2000 წლის შემდეგ მსოფლიოში დასაქმებულ ბავშვთა რაოდენობა 246 მილიონიდან 168 მილიონამდე შემცირდა. თუმცა, 85 მილიონი ბავშვი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასრულებს მძიმე და მავნე სამუშაოებს.⁴⁵ სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა (ბოლო კვლევა გაეროს განვითარების ფონდისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2000 წელს ჩატარდა). შესაბამისად, არ ვიცით რა ასაკის, რა რაოდენობით არასრულწლოვანია დასაქმებული და რაც მთავარია, არ ვიცით როგორ შრომის პირობებში უწევთ მათ მუშაობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე ამგვარი მასალის მოპოვება შეუძლებელია. ასევე ცალკე არ არის დათვლილი იმ მოზარდების რაოდენობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განეკუთვნებიან დასაქმებულთა მინიმალური ასაკის კატეგორიას. მასში არ შედის 14 წლის ასაკობრივი ჯგუფი და გაერთიანებულია 19 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ამასთანავე არ მოიპოვე ინფორმაცია 14 წლამდე რამდენი ბავშვია დასაქმებული. სტატისტიკის დეპარტამენტის 2013 წლის მონაცემების თანახმად 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა 57%-ს შეადგენს⁴⁶.

შსო-ს 138-ე კონვენცია: „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ (რაციფიცირებულია საქართველოს მიერ 1996 წელს) ადგენს, რომ მინიმალური ასაკი არ შეიძლება იყოს 15 წელზე დაბალი (გამონაკლისის სახით ეს ასაკი შეიძლება იყოს 14 წელი), ხოლო მინიმალური ასაკი საშიში და ჯანმრთელობისთვის საზიანო სამუშაოს შესრულებისას შეადგენს 18 წელს. თუმცა, შსო ამ შემთხვევაშიც უშვებს გამონაკლისს და 16 წლის მოზარდის დასაქმების უფლებას გასცემს „იმ პირობით თუ მისი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და ღირსება სრულად დაცულია და რომ ამ მოზარდებმა მიიღეს საკმარისი სპეციალური განათლება ან პროფესიული მომზადება საქმიანობის შესაბამის დარგში“.⁴⁷ აღნიშნული კონვენციის თანახმად ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან გაატარონ ისეთი ეროვნული პოლიტიკა (სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები) რომლის მიზანია ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმება და სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა.

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ 2013 წლის ბოლოსთვის მოპოვებული მონაცემების თანახმად საქართველომ საშუალო დონეზე განახორციელა ბავშვთა ფიზიკური შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აღმოფხვრის საქმე.⁴⁸ კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ გააუმჯობესა შრომის კანონმდებლობა და შეძლებისდაგვარად შესაბამისობაში მოიყვანა ის საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს შრომის კოდექსის წინა რედაქციაში (2006 წელი) განსაზღვრული იყო მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, 2013 წელს შრომის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების დროს კი დაემატა სამუშაო დროის რაოდენობისა და

⁴⁵ <http://www.ilo.org/global/topics/child-labour/lang-en/index.htm> Child Labour. Facts and Figures.

⁴⁶ დასაქმება და უმუშევრობა. 2013 წელი (წლიური). დასაქმების დონე ასაკობრივ ჯგუფში. გვ. 4. საქართველოს ეროვნული სამსახური (საქსტატი). თბილისი 2014.

⁴⁷ შსო-ს 138 კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ. მუხლი 2. პუნქტი 3,4. მუხლი 3. პუნქტი 1,2,3. ქენევა 1973.

⁴⁸ 2013 Findings on the Worst Forms of Child Labor – Georgia. Moderate Advancement. Pg.1. Unites State Department of Labor's Bureau of International Affairs. Washington 2013.

ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესი. მე-4-ე თავის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს და ამავე თავის მე-4 პუნქტის მიხედვით 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს. ასევე, განისაზღვრა არასრულწლოვანის ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და ანაზღაურების წესი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია 14-დან 16 წლამდე ახალგაზრდას 24 საათის სამუშაოზე მეტი დროის, ხოლო 16-დან 18 წლამდე ახალგაზრდას 36 საათზე მეტი სამუშაო დროის შესრულების შემდეგ აუნაზღაუროს ხელფასი გაზრდილი ოდენობით.⁴⁹ გარდა ამისა, შრომის კოდექსის მე-2 თავის, მე-4 მუხლში ჩამოთვლილია რამდენიმე სფერო (ესენია: სპორტული, ხელოვნებასთან დაკავშირებული და კულტურული სფეროები, სარეკლამო სამუშაოს შესრულება) რომლის მიხედვითაც შეიძლება შრომის ხელშეკრულება დაიდოს 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან. ამავე მუხლის თანახმად აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების დადება მძიმე მავნე და საშიშ პირობებებიანი სამუშაოს შესრულებისას.⁵⁰

შრომის კოდექსში ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანისას არ იქნა გათვალისწინებული რიგი გარემოებები. პირველ რიგში არ იქნა გაზომილი რისკები და საფრთხეები, თუ რა ზიანს მოუტანს მოზარდს და მის განვითარებას ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება. ამასთანავე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შსო-ს 138-ე კონვენცია მინიმალური ასაკის დადგენის შესახებ გამონაკლისს ქვედა ზღვარის დაწესების შესაძლებლობას უშვებს (14 წელი) მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც მეწარმეთა და დამსაქმებელთა კავშირები ამ გადაწყვეტილებამდე მივლენ კონსულტაციების შედეგად - მხოლოდ კეთილსინდისიერად წარმართული სოციალური დიალოგის შემთხვევაში. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით დიალოგი სახელმწიფო ან საწარმოო დონეებზე არ გამართულა, რაც 138-ე კონვენციის დარღვევაა. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით შრომის ხელშეკრულების დადება რიგ სფეროებში შესაძლებელია 14 წლამდეც, რაც ასევე ამავე კონვენციის დარღვევაა.

გარდა, მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციისა 2002 წელს საქართველომ რატიფიცირება მოახდინა შსო-ს 182-ე კონვენციის: „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყონებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“, რომელიც გულისხმობს 18 წლამდე ასაკის ყველა პირის დაცვას „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმებისგან.“ ესენია: მონობა და მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმა, იძულებითი და სავალდებულო შრომა, ბავშვებით ვაჭრობა და ბავშვთა შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართვა; ბავშვთა ჩართვა პროსტიტუციაში; ბავშვთა ჩართვა ნარკოტიკების რეალიზაციაში; სამუშაოს რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობით შეიძლება ზიანი

⁴⁹ საქართველოს ორგანული კანონი. საქართველოს შრომის კოდექსი. თავი IV. სამუშაო შესვენებისა და დასვენების დრო. მუხლი 17. პუნქტი 3.

⁵⁰ საქართველოს ორგანული კანონი. საქართველოს შრომის კოდექსი. თავი II. შრომითი ურთიერთობების წარმოშობა. მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედითუწარმოშობის წარმოშობა.

მოუტანოს ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და ზნეობას.⁵¹ შსო რეკომენდაციის სახით მიმართავს ხელმომწერ ქვეყნებს, გაითვალისწინონ განათლების მნიშვნელობა ბავშვის შრომის გაუქმების საქმეში და მიმართონ შემდეგ ზომებს: დაიცვან ბავშვები შრომის უკიდურეს ფორმებში ჩარევისაგან; სათანადო დახმარება გაუწიონ ბავშვებს, რომლებიც ჩართულნი არიან შრომის უკიდურეს ფორმებში; უზრუნველყონ მათთვის უფასო საბაზისო განათლება და პროფესიული სწავლება; გამოავლინონ განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები და გაითვალისწინონ ამ მხრივ გოგონათა მძიმე მდგომარეობა.

3. ინსტიტუციური მექანიზმები

ბავშვთა იძულებითი შრომა საქართველოს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ჩვენს ირგვლივ არიან ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან ფიზიკური შრომის მძიმე ფორმებში: სოფლის მეურნეობის დარგში (შსო-ს მონაცემების თანახმად მსოფლიოში დასაქმებულ ბავშვთა 58%-ზე მეტი იძულებით ჩართულია სოფლის მეურნეობის დარგში⁵²) და შრომის ყველაზე მძიმე ფორმაში - იძულებით მათხოვრობაში. წლების განმავლობაში ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ბედით თითქმის არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ ინტერესდებოდა, არ არსებობდა სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკა. რომ არა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, სიტუაცია იმაზე გაცილებით მძიმე იქნებოდა ვიდრე ახლაა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2013 წელს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი, რათა ზედამხედველობა გაუწიოს „2012-2015 წლების ბავშვთა დაცვის სამოქმედო გეგმის“ დანერგვას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ბავშვების მომსახურება, იმ ბავშვების ჩათვლით რომლებიც ცხოვრობენ ქუჩაში და მუშაობენ. მიუხედავად ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტი მოპოვებული მონაცემების თანახმად აკრიტიკებს საქართველოს მთავრობას კანონმდებლობაში, მონაცემების მოპოვებასა და გავრცელებაში არსებული ხარვეზების გამო, „რაც ხელს უშლის ბავშვთა ფიზიკური შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აღმოსაფხვრელად მიმართული პოლიტიკის და პროგრამების ეფექტიან განხორციელებას“.⁵³

გარდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა, საქართველოს არის ხელმომწერი გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის, რომელიც ბავშვს ანიჭებს სოციალური უფლებებს და იცავს მას შრომითი ექსპლუატაციისაგან. კონვენციის 27 მუხლის თანახმად „ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისთვის.“⁵⁴ ამავე კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად „ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და

⁵¹ შსო-ს 182-ე კონვენცია: ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყონებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ. მუხლი 1, 2, 3. ქენევა 1999.

⁵² <http://www.ilo.org/ipec/facts/lang--en/index.htm> What is child labour. Child labour distribution by branch of economic activity.

⁵³ 2013 Findings on the Worst Forms of Child Labor – Georgia. Moderate Advancement. Pg.1. Unites State Department of Labor’s Bureau of International Affiars. Washington 2013.

⁵⁴ გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია. მუხლი 27. 1990.

ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობასა და განვითარებას.⁵⁵ მიუხედავად ამისა, საქართველოს შრომის კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა შესაბამისობაში არ მოდის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების კონვენციებთან, რაც შესაბამისად ისახება მათ ყოველწლიურ ანგარიშებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვთა შრომის წინააღმდეგ საბრძოლველად ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს ადგენს შსო-ს სტანდარტები, რაც შესაბამისად ისახება ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკებზე. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე წევრი ქვეყნები ატარებენ შესაბამის რეფორმებს: როგორც სამართლებრივს, ასევე ინსტიტუციონალურს.

ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არსებული საერთაშორისო გამოცდილებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მექანიზმს წარმოადგენს შრომის ინსპექცია, რომლის ერთ-ერთ კომპეტენციას ბავშვთათვის უსაფრთხო და ჯანმრთელი შრომის პირობების შექმნა და იძულებითი შრომის აკრძალვა წარმოადგენს. თურქეთში ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შრომის ინსპექციას მიუძღვის.⁵⁶ 1994 წლიდან თურქეთის მთავრობა, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ჩაერთო ბავშვთა შრომის აღმოფხვრის საერთაშორისო პროგრამაში, შრომის ინსპექციამ დაიწყო ამ მიმართულებით შრომის ინსპექტორების გადამზადება. სპეციალურად მომზადებულმა შრომის ინსპექტორებმა მოახერხეს თურქეთის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში არაფორმალური საწარმოების აღმოჩენა, მათი აღრიცხვა და რაც მთავარია ბავშვთა შრომის წინააღმდეგ არსებული ფაქტების გამოვლენა. 2006 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტი მიესალმა შრომის ინსპექციის წარმატებულ საქმიანობას და განაგრძო დიალოგი მთავრობასთან შრომის ინსპექტირების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 2006 წელს შრომის ინსპექცია გააუქმა. თუმცა, 2015 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქმნება შრომის პირობების მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელმაც უნდა შეითავსოს შრომის ინსპექციის ფუნქცია. გამომდინარე იქედან, რომ ინსტიტუტი ახლა იქმნება ჯერ ნაადრევია საუბარი მის როლზე ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არსებული რედაქციით (შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა) ის არ იქნება ეფექტური ამ საკითხთან მიმართებაში, რამდენადაც ის არის ნებაყოფლობითი და არ აქვს სანქციონების მექანიზმი.⁵⁷

ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკაში სახალხო დამცველის აპარატს, როგორც სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის. 2001 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს „ბავშვთა

⁵⁵ გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია. მუხლი 32. 1990.

⁵⁶ თამაშის წესები. მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში. შრომის ინსპექტირება. გვ.40. შვეიცარია. შესწორებული რედაქცია 2009 წელი.

⁵⁷ შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. პრემიერ მინისტრის დადგენილება N38.

5 თებერვალი.

უფლებათა დაცვის ცენტრი,“ რომლის საქმიანობასაც საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია.⁵⁸ ცენტრის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევების შესწავლა, მათზე რეაგირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ორგანოებისთვის. სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში აქტურად ხვდება საკითხი ქვეყანაში ბავშვების შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ, რისი აღმოფხვრის წინააღმდეგაც აპარატი შესაბამისი ორგანოებისთვის გასცემს რეკომენდაციებს.

ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არსებული საერთაშორისო გამოცდილებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მექანიზმს წარმოადგენს პროფკავშირული ორგანიზაციები. მთელ რიგ ქვეყნებში მუშურმა მოძრაობებმა ბავშვთა და ქალთა იძულებითი შრომის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და ჰპოვა შემდგომი განვითარება. ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი გამოცდილება აქვს ბრაზილიის პროფკავშირებს.⁵⁹ ბრაზილიაში ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის 20 წლიანი გამოცდილება აქვს ადგილობრივ პროფკავშირებს, რომელმაც შექმნა „ბავშვთა და მოზარდთა დაცვის ეროვნული კომიტეტი“ რომლის ფარგლებშიც თავდაპირველად დიდი ბრძოლის შედეგად მთავრობა აიძულა მოეხდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 138-ე კონვენციის რატიფიცირება. ბრაზილიის პროფკავშირების ერთ-ერთ დიდ გამარჯვებას წარმოადგენს ის, რომ მან მოახერხა ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა შრომის შესახებ დებულებები აესახა კოლექტიურ ხელშეკრულებებში და ბოლოს, მათი ძალისხმევით შედეგად მთავრობა კიდევ ერთხელ იძულებული გახდა მოეხდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 182-ე კონვენციის კონვენციის რატიფიცირებაც.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია არსებობის რამდენიმე წელს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულ შრომის ბაზარზე ერთადერთი პროფკავშირული გაერთიანებაა, საზოგადოების წინაშე დიდი ნდობით არ სარგებლობს. ორგანიზაციის დასუსტებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ნაციონალურ მოძრაობას,“ რომელიც მისი ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში დასაქმებულთა პროფკავშირული ნიშნით დევნას ახორციელებდა. მიუხედავად ამისა, პროფკავშირების გაერთიანება აქტიურად მონაწილეობდა შსო-ს 182-ე და 138-ე კონვენციების რატიფიცირების კამპანიებში. გარდა ამისა, გაერთიანების აპარატში ფუნქციონირებს ახალგაზრდული დეპარტამენტი, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს დაიცვას ბავშვთა და ახალგაზრდების შრომის უფლებები.

4. დასკვნა

მიუხედავად ბოლო დროს გატარებული პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, ქვეყანას არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლები, შესაბამისობაში არ მოდის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენციებთან, რის გამოც აუცილებელია მოხდეს რატიფიცირებულ კონვენციების

⁵⁸ <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/bavshvis-uflebata-dacvis-centri/bavshvis-uflebebs-centris-shesaxe> ბავშვის უფლებათა ცენტრი.

⁵⁹ თამაშის წესები. მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში. ბავშვის შრომა. გვ. 32. შევიცარია. შესწორებული რედაქცია 2009 წელი.

გადახედვა და განხორციელებს მათი იმპლემენტაციის მონიტორინგი. ასევე, მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და ხელშეწყობა, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლა. არსებულმა საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადყო, რომ შრომის ინსპექციას, როგორც სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს მიუძღვის მნიშვნელოვანი როლი ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ინსტიტუტების, პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციებისგან, მეტი დაინტერესება ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ, კოორდინირებული პოლიტიკის შედეგადაა შესაძლებელი ამ ურთულესი პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ბავშვთა შრომა არის სიღარიბეში მუდმივად ჩარჩენის გარანტია. მხოლოდ განათლებულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა დააღწიოს სიღარიბეს თავი და იცხოვროს ღირსეული ცხოვრებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამაშის წესები. მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში. შვეიცარია. შესწორებული რედაქცია 2009 წელი.
2. იძულებითი შრომა. საერთაშორისო პროფესიული კავშირების გაერთიანების სახელმძღვანელო. ბრუსელი 2008 წელი.
3. დასაქმება და უმუშევრობა. 2013 წელი (წლიური). საქართველოს ეროვნული სამსახური (საქსტატი). თბილისი 2014.
4. Every Child Counts – New Global Estimates on Child Labour. International Labour Organization. Geneva 2002.
5. 2013 Findings on the Worst Forms of Child Labor – Georgia. United States Department of Labor's Bureau of International Affairs. Washington 2013.
6. საქართველოს ორგანული კანონი. საქართველოს შრომის კოდექსი.
7. შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. პრემიერ მინისტრის დადგენილება N38.
8. შსო-ს 138-ე კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ. ჟენევა 1973.
9. შსო-ს 182-ე კონვენცია: ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ. ჟენევა 1999.
10. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1990.
11. www.ilo.org.
12. www.ombudsman.ge

რეზიუმე

„ბავშვთა შრომის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები“ არის მცირე, თვისობრივი ხასიათის კვლევა. კვლევა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: პირველ ნაწილში გადმოცემულია ინფორმაცია ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შესახებ, მეორე ნაწილში კი განხილულია ამ მხრივ არსებული საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი ინსტიტუციური მექანიზმები.

კვლევის დროს შესწავლილ იქნა საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლები, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს კონვენციები. შესწავლილი მასალების საფუძველზე გაირკვა რამდენად მოდის საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში ბავშვთა შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან.

გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, ის ინსტიტუციური მექანიზმები (შრომის ინსპექცია, სახალხო დამცველის აპარატი, პროფესიული კავშირები) რომლებსაც ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ.

ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის გადასვლა ნასყიდობის საგნის გაგზავნის დროს

მარიამ ქარსელაძე
სამართლის ბაკალავრი

თეონა მგელაძე
სამართლის ბაკალავრი

1. შესავალი

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ნივთის გაგზავნა მყიდველისათვის. აქტუალურია გაგზავნისას ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის გადანაწილებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი გამყიდველსა და მყიდველს შორის, იქედან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა არ აწესრიგებს მას ამომწურავად.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები გერმანიის სამოქალაქო კოდექსის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

2. ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის გაგზავნასთან დაკავშირებული გამყიდველის მოვალეობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და გაეროს „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციის მიხედვით

ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის გაგზავნას და მასთან დაკავშირებულ გამყიდველის მოვალეობებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 480-ე მუხლი. აშკარაა რომ ეს მუხლი ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლის მიხედვით. ორივე მუხლი შედგება სამი ნაწილისგან და ითვალისწინებს გამყიდველის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის უზრუნველსაყოფად. ესენია: 1) მყიდველისთვის საქონლის გაგზავნის შეტყობინება, როდესაც საქონელი არ არის იდენტიფიცირებული. 2) ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომლებიც აუცილებელია საქონლის გადასაზიდად დანიშნულების ადგილზე. 3) მყიდველისთვის იმ ინფორმაციის გადაცემა, რომელიც საჭიროა, რომ მყიდველმა შესძლოს საქონლის დაზღვევა გადაზიდვისას.⁶⁰

3. რისკის გადასვლა მყიდველზე ნასყიდობის საგნის გაგზავნის დროს

3.1. რისკის განაწილების საკითხის იდენტური მოწესრიგება გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსების მიხედვით

⁶⁰გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ (1980).

რისკის განაწილების საკითხს კი ეხება სსკ-ის 482-ე მუხლი. ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ნასყიდობის საგნის გაგზავნისას რისკის გადასვლას მყიდველზე. მსგავსი მოწესრიგება გვხვდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 447-ში. ეს ნორმა უფრო კონკრეტულია, რადგან დასათაურებულია შემდეგნაირად: „რისკის გადასვლა ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევაში“ და ადგენს რისკის განაწილების საკითხს კონკრეტულად ნივთის გაგზავნის დროს.⁶¹ სსკ-ის 482-ე მუხლში კი ზოგადად ნივთის გადაცემისას რისკის გადასვლაზეა საუბარი და ერთი ნაწილი ეხება გაგზავნისას ამ საკითხის მოწესრიგებას.⁶²

3.2. ნივთის გაგზავნით ნასყიდობისას მყიდველზე რისკის გადასვლის წინაპირობები

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ნივთის გაგზავნით ნასყიდობისას მყიდველზე რისკის გადასვლისათვის აწესებს რამდენიმე წინაპირობას. უკვე ნახსენები მუხლების იდენტურობიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ სსკ-ს 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისთვისაც არსებითია § 447-ის წინაპირობები. პირველი წინაპირობაა ის, რომ ნასყიდობისას შეთანხმებული უნდა იქნეს გაგზავნის ვალდებულება, ვინაიდან მხოლოდ გაგზავნის ვალდებულების დროს აგზავნის მოვალე (გამყიდველი) ნივთს „სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 480-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მსგავს დებულებას. შემდეგი სიტყვები: „თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა...“, სავარაუდოდ, გულისხმობს შეთანხმების არსებობას გამყიდველის მიერ საქონლის გაგზავნის შესახებ.

მეორე წინაპირობა შემდეგნაირია: საქონლის გაგზავნა უნდა მოხდეს მყიდველის მოთხოვნით. ამ დროს საკმარისად მიიჩნევა, რომ მყიდველის ასეთი მოთხოვნა მხოლოდ გარემოებებიდან გამომდინარეობს. ეს წინაპირობა მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილში, სადაც ნახსენებია: „თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას...“. რისკის გადასვლისათვის სწორედ იმას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ მყიდველის ნებით ხდება ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის შეცვლა და შესაბამისად, მან თავის თავზე უნდა აიღოს ამ ცვლილებით გამოწვეული რისკისათვის პასუხისმგებლობა. ხოლო ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის თანახმად თუ ხდება გაგზავნა, ამ შემთხვევაში გამყიდველზეა ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი.

მესამე წინაპირობაა: გაგზავნა უნდა მოხდეს შესრულების ადგილიდან; თუ ტრანსპორტირება სხვა ადგილიდან ხდება, ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, როცა მყიდველი ასეთ გაგზავნაზე თანახმა იყო. ვალდებულების შესრულების ადგილის ნაცვლად ნივთის სხვა ადგილიდან გაგზავნა ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი თავისი ნებით

⁶¹სსკ-ის § 447 პირველი ნაწილი: „თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.“

⁶²სსკ-ის 482 მუხლის II ნაწილი: „თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას ნაცვლად შესრულების ადგილისა მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადამზიდველს ან გადამზიდვისთვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას.“

ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებას (თუ არ აქვს მყიდველის თანხმობა) და ასეთ შემთხვევაში მყიდველზე რისკის გადასვლა არ იქნება მართებული. სსკ-ში არ არის რომელიმე მუხლში უშუალოდ მითითება გაგზავნის ადგილზე. საკითხავია, რამდენად საჭიროა სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოსაყენებლად ამ წინაპირობის არსებობა.

მეოთხე წინაპირობა კი ასეთია: საქონლის გადამზიდვისთვის მიწოდება გულისხმობს შესაბამის პირზე ან დაწესებულებაზე საქონლის ფაქტობრივ გადაცემას ყველა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, რათა საქონელმა მყიდველამდე უპრობლემოდ მიაღწიოს; გადამზიდვისთვის მხოლოდ დავალების მიცემა არ ითვლება საკმარისად. რისკის მყიდველზე გადასვლისათვის აუცილებელია, რომ გამყიდველმა განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც ხელს შეუწყობს ნივთის მყიდველამდე უპრობლემოდ მიღწევას. სსკ-ის 482-ე მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირაა მითითება საქონლის გადამზიდვისთვის ფაქტობრივად გადაცემაზე: „ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.“ ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ: „თუ გამყიდველი ვალდებული არ არის საქონელი მიიტანოს სხვა რომელიმე კონკრეტულ ადგილას, მაშინ მიწოდებასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია გადასცეს საქონელი პირველსავე გადამზიდველს მყიდველისათვის ჩასაბარებლად, თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას;“ საქონლის ფაქტობრივ გადაცემასთან ერთად საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ამაზე ყურადღება გამახვილებულია სსკ-ის 480-ე მუხლში.⁶³ ანალოგიური მოწესრიგებაა გათვალისწინებული ვენის ნასყიდობის კონვენციითაც.⁶⁴ „თუ გამყიდველი ხელშეკრულების ან ამ კონვენციის შესაბამისად საქონელს გადასცემს გადამზიდველს და თუ საქონელი მკვეთრად იდენტიფიცირებული არ არის ხელშეკრულების მიზნებისათვის მარკირების გზით, გადაზიდვის დოკუმენტების საშუალებით ან სხვაგვარად, გამყიდველმა მყიდველს უნდა შეატყობინოს აღნიშნული საქონლის გაგზავნისა და აღწერილობის შესახებ.“

4. ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის განაწილების შემთხვევები გადაზიდვისას

გადაზიდვისას, იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებს გადაზიდვას, შეიძლება გამოიყოს რისკის განაწილების რამდენიმე განსხვავებული შემთხვევა. მაგალითად:

⁶³სსკ-ის 480-ე მუხლის I ნაწილი: „თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი.“

⁶⁴გაეროს „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ 32-ე მუხლის I პუნქტი: „თუ გამყიდველი ხელშეკრულების ან ამ კონვენციის შესაბამისად საქონელს გადასცემს გადამზიდველს და თუ საქონელი მკვეთრად იდენტიფიცირებული არ არის ხელშეკრულების მიზნებისათვის მარკირების გზით, გადაზიდვის დოკუმენტების საშუალებით ან სხვაგვარად, გამყიდველმა მყიდველს უნდა შეატყობინოს აღნიშნული საქონლის გაგზავნისა და აღწერილობის შესახებ.“

ა) თუ გამყიდველი იყენებს ე.წ. მოვალისთვის უცხო გადამზიდავს (მაგ: ფოსტა, რკინიგზა, ექსპედიტორული კომპანია), მაშინ ეს უკანასკნელი ნივთის გაგზავნით ნასყიდობისას არ ჩაითვლება შესრულების დამხმარე პირად; ვინაიდან გამყიდველის ვალდებულება არ არის ტრანსპორტირება, გადამზიდავი ამ შემთხვევაში არ მოქმედებს გამყიდველის ვალდებულების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი გამოიწვევს ზიანს, ან მისი ბრალით განადგურდება ნასყიდობის ნივთი, გამყიდველს მაინც შეეძლება მოსთხოვოს მყიდველს ნასყიდობის ფასის გადახდა. ამ შემთხვევაში ჩანს რომ გადამზიდავისთვის ნივთის გადაცემიდან რისკი გადადის მყიდველზე.

ბ) თუ მოვალის გადამზიდავი (მაგ: გამყიდველის თანამშრომელი) ახორციელებს ტრანსპორტირებას, უნდა დადგინდეს ნივთის გაგზავნით ნასყიდობის ნაცვლად ხომ არ არის მოცემული მიტანის ვალდებულება. მოვალის გადამზიდავის მიერ ტრანსპორტირების შემთხვევები ხშირად მაინც განიხილება გაგზავნის ვალდებულებად. ამის შემდგომ უკვე სადავო ხდება რისკის გადასვლის საკითხი. ლიტერატურაში გავრცელებული ერთი მოსაზრების თანახმად, მყიდველზე რისკი უნდა გადავიდეს მხოლოდ უცხო გადამზიდავის ვალდებულებაში ჩართვის შემთხვევაში, ვინაიდან გამყიდველს არ აქვს ამ უკანასკნელზე პირდაპირი გავლენა; ამის შესაბამისად, როდესაც გამყიდველის თანამშრომლები ახორციელებენ გადაზიდვას, ეს შეიძლება მიტანის ვალდებულების შესრულებად ჩავთვალოთ და რისკი უნდა იყოს ისევ გამყიდველზე. სხვა გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნორმა მოქმედებს გამყიდველის თანამშრომლების მიერ გადაზიდვის შემთხვევებშიც, ასე რომ, გამყიდველს შეუძლია, ნასყიდობის ფასის სრულად მოთხოვნა მაშინ, როდესაც ნასყიდობის ნივთი მისი თანამშრომლის მიერ გადაზიდვის დროს შემთხვევით განადგურდება. ამ მოსაზრების თანახმად, რისკის გადასვლა ხდება მყიდველზე ნივთის გადამზიდავისთვის ჩაბარების მომენტიდან.⁶⁵

გ) კიდევ ერთი ცალკეული შემთხვევა მოცემულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §447 მეორე ნაწილში, როდესაც გაგზავნისას რისკი არ გადადის მყიდველზე, არამედ რჩება გამყიდველზე: „თუ მყიდველმა გასცა სპეციალური მითითება გაგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა ეს მითითება მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ამის შედეგად წარმოშობილი ზიანის გამო.“

5. დასკვნა

ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის მყიდველზე გადასვლის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, როგორც წინაპირობების არსებობის შემოწმება, ასევე კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. საბოლოოდ, ამ ყველაფრის შეფასება კომპლექსური საკითხია, რომელიც განსხვავებულად შეიძლება მოწესრიგდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

⁶⁵ „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“ - იან კროპ ჰოლერი, თბილისი, 2014; გვ. 342-343.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ (1980).
2. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“ - იან კროპ ჰოლერი, თბილისი, 2014.

რეზიუმე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 480-ე მუხლითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის გაგზავნასთან დაკავშირებული გამყიდველის მოვალეობებია: 1) მყიდველისთვის საქონლის გაგზავნის შეტყობინება, როდესაც საქონელი არ არის იდენტიფიცირებული; 2) ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომლებიც აუცილებელია საქონლის გადასაზიდად დანიშნულების ადგილზე; 3) მყიდველისათვის იმ ინფორმაციის გადაცემა, რომელიც საჭიროა, რომ მყიდველმა შეძლოს საქონლის დაზღვევა გადაზიდვისას.

სსკ-ის 480-ე მუხლი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 447-ე პარაგრაფი იდენტურად აწესრიგებენ რისკის გადასვლას ნივთის გაგზავნით ნასყიდობის ხელშეკრულებაში. კერძოდ, ისეთ შემთხვევას, როცა გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

ნივთის გაგზავნით ნასყიდობისას მყიდველზე რისკის გადასვლისათვის საჭირო წინაპირობები (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით) : 1) შეთანხმება გაგზავნის ვალდებულებაზე; 2) საქონლის გაგზავნა უნდა მოხდეს მყიდველის მოთხოვნით; 3) გაგზავნა უნდა მოხდეს შესრულების ადგილიდან; 4) საქონლის გადამზიდვისთვის მიწოდება გულისხმობს შესაბამის პირზე ან დაწესებულებაზე საქონლის ფაქტობრივ გადაცემას ყველა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, რათა საქონელმა მყიდველამდე უპრობლემოდ მიაღწიოს.

გადაზიდვის განმახორციელებელი პირის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რისკის განაწილების განსხვავებული შემთხვევები: 1) გამყიდველის მიერ ე.წ. „მოვალისათვის უცხო გადამზიდვის“ გამოყენება; 2) მოვალის გადამზიდვის მიერ ტრანსპორტირების განხორციელება ნივთის გაგზავნით ნასყიდობაა თუ მიტანის ვალდებულების შესრულება; 3) შემთხვევა, როდესაც მყიდველმა გასცა სპეციალური მითითება გაგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა იგი.



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
ფაქტ. მისამართი: ვაზისუბნის ქ., №7, 0160, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ვებ-გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.



ა დ ვ კ ა ტ ა
ს ა გ ა მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ც ე ნ ტ რ ი

ორგანიზაციის სახელწოდება: შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ ს/კ 402014271
ელ-ფოსტა: ybarristers@gmail.com ; info@edubarristers.ge;
დაარსების თარიღი: 2015 წლის 07 მაისი
ვებ-გვერდი: www.edubarristers.ge
FB: www.facebook.com/edubarristers
ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა“
ანგარიშის ნომერი: GE48 BR00 0001 0852 5441 46

სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე.